პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისი
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 47 (10744)

კვირა, 24 თებერვალი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობა (1-ლი გვერდი).
გაზეთ „ტრუდის“ მთავარი რედაქტორის ბ. ბურკოვის მისალმება საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური ყრილობისადმი (1-ლი გვერდი).
საზეიმო სხდომა მოსკოვში, მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 39-ე წლისთავისადმი (1-ლი გვერდი).
ს. რიჟინაშვილი. — „უჭკნობია ამ დღეთა დიდება...“ (1-ლი გვერდი).
მ. ჩუბინიძე. — საბჭოთა საქართველოს 36 წელი (მე-2 და მე-3 გვერდი).
ს. ხარაზიშვილი. — რუსთავი (მე-2 გვერდი).
ვლ. თორდუა. — ღამისა და დღის გასაყარზე (მე-2 გვერდი).
ჰ. ჰუპერტი. — შეედრეკვები ბალზაკი (მე-3 გვერდი).
ს. არღუნელი. — [illegible] (მე-3 გვერდი).
პ. ჭიოკაძე. — ეს არ იყო წინათ (მე-3 გვერდი).
გ. ხუსკივაძე. — ზესტაფონი წინათ და ახლა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული

ხვალ სრულდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავი. 36 წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს, ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხის ძმური დახმარებით ბოლო მოუღო საქართველოში იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტების — მენშევიკების ბატონობას და რესპუბლიკა ახალი ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა.

— თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!— ასე აუწყებდა ისტორიული გამარჯვების ფაქტს ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ამხ. ს. ორჯონიკიძე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელს, ბელადსა და მასწავლებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს.

მას შემდეგ ოცდათექვსმეტმა წელმა განვლო. ისტორიისათვის ეს მეტად მოკლე პერიოდია, მაგრამ რაოდენ მდიდარი, შინაარსიანი და თვალწარმტაცია იგი შესანიშნავი მოვლენებით, სოციალისტური გარდაქმნებით, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ტემპით.

განვლილ პერიოდში კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან სოციალისტური თანამეგობრობით საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, ნახევრადკოლონიური, აგრარული განაპირა ქვეყნიდან დიდად განვითარებულ, ინდუსტრიულ, მსგავილი სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მოწინავე კულტურის რესპუბლიკად გადაიქცა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია რესპუბლიკის მრეწველობამ, კერძოდ, მძიმე მრეწველობამ. 1956 წელს 1913 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გადიდდა 29,6-ჯერ, ხოლო მძიმე მრეწველობისა — 73-ჯერ და უფრო მეტად. შეიქმნა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური მრეწველობის ახალი დარგები: მეტალურგიული მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, შეიქმნა და დიდად განვითარდა საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

ომისშემდგომ ხუთწლედში აშენდა რესპუბლიკის სიამაყე — ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც სამშობლოს აწვდის თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებსა და სხვა პროდუქციას. მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილია ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად ზრდის საერთო პროდუქციის გამოშვებას. სულ უფრო მზარდი რაოდენობით იძლევიან პროდუქციას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი და მრავალი სხვა საწარმო. ახლა საქართველოს მთელი რიგი ქარხნების პროდუქციას შეხვდებით არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, არამედ საზღვარგარეთაც — სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა ზაჰესი, აწჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი, ჩითახევჰესი, სოხუმჰესი, ალაზანჰესი, შაორჰესი, გუმათჰესი, ბუუჰესი, ტყიბულჰესი და სხვა ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ენერგიას აწვდიან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობებს. რესპუბლიკის მრავალ კოლმეურნეობას აქვს საკუთარი ჰიდროელექტროსადგური. სულ რესპუბლიკაში 1956 წელს 1913 წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება 120-ჯერ გადიდდა. ამავე პერიოდში ქვანახშირის მოპოვება გადიდდა 38-ჯერ. საქართველოს მრეწველობამ შარშან საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102 პროცენტით შეასრულა და 1955 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 10 პროცენტით გაადიდა.

სწრაფად ვითარდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს 97 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელთა განკარგულებაშია ათასობით ტრაქტორი და კომბაინი. მოწინავე ტექნიკა კოლმეურნეებს შრომას უმსუბუქებს, სოციალისტურ მინდვრებში მუშაობა სულ უფრო ნაყოფიერი, სულ უფრო სახალისო ხდება.

საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი, ბუნების მრავალფეროვნებით დაჯილდოებული რესპუბლიკაა. იგი საბჭოთა კავშირს უხვად აწვდის ჩაის, ციტრუსებს, თამბაქოს, ყურძენს, ხილს. მეურნეობის ამ დარგების განვითარება დიდად ეწყობს ხელს მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

ბედნიერი და საამური ცხოვრება დამკვიდრდა საქართველოს საკოლმეურნეო სოფლებში. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობების ფულადი და ნატურალური შემოსავალი. რესპუბლიკაში არა მარტო ასობით მილიონერი კოლმეურნეობაა, არამედ მრავალი მილიონერი საკოლმეურნეო ბრიგადაა. გალის რაიონის ქვემო ბარღების კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაის“ შარშან თვითეულ შრომადღეზე 52 მანეთი გასცა.

საქართველო ცნობილია როგორც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანა. მაგრამ ქართულ კულტურას ნამდვილი აღორძინების ყველა პირობა მხოლოდ საბჭოთა ეპოქამ შეუქმნა. თუ 1914 წელს საქართველოში ზოგადი განათლების 1.762 სკოლა და უმაღლესი ტიპის მხოლოდ ერთი სასწავლებელი იყო, მიმდინარე წელს რესპუბლიკაში 4.200-ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და 19 უმაღლესი სასწავლებელია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით თექვსმეტი წლის წინათ შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ათობით სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას აერთიანებს და ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში განვითარდა და აყვავდა ლიტერატურა და ხელოვნება. ახლა მშრომელები შორეულ, ოდესღაც მივიწყებულ სოფლებშიც კი კულტურულად ცხოვრობენ და სოციალისტური ეპოქის დიადი მონაპოვრით სარგებლობენ.

ქართველი ხალხი ყველა თავის წარმატებას უმადლის სახელოვან კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც განუხრელად ზრუნავს მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის, მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

სასიხარულო და საამაყოა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული მიღწევები, მაგრამ ჩვენს ხალხს მოპოვებული წარმატებებით დამშვიდება როდი სჩვევია. რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონებითა და დადგენილებებით, კიდევ უფრო ინერგიულად იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ახლა საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, გაჩაღებულია მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ამის შედეგად შეიქმნა უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარება. ამ ვითარებას რესპუბლიკის მშრომელები იმისათვის იყენებენ, რომ სანიმუშოდ მოემზადონ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, საფუძველი ჩაუყარონ მიმდინარე წლის უხვ მოსავალს და უზრუნველყონ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

ეჭვი არ არის, საქართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, შექმნან სახალხო მოხმარების საგნების სიუხვე და დააჭარონ სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლა.

საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობის დელეგატების ერთი ჯგუფი.

საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობა

გუშინ, 23 თებერვალს, ისე როგორც წინა დღეს, გაცხოველება იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს შენობაში, სადაც მიმდინარეობდა რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობა. დელეგატები ინტერესით ეცნობოდნენ აქ მოწყობილ მრავალფეროვან გამოფენას.

დილიდან ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილის მოხსენების გამო საქართველოში მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ამოცანების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს სომხური რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორმა ზ. პოღოსიანმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ჭახრაკიამ, რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ი. ჩხიკვიშვილმა, ზუგდიდის რაიონული გაზეთის „მებრძოლის“ რედაქტორმა ი. ქორთუამ, თელავის რაიონის სოფელ კონდოლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კოკილაშვილმა, ხარატმა მუშა კორესპონდენტმა გ. სუხინმა, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორმა ი. ბოლქვაძემ, რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ფირცხალავამ, მუშა კორესპონდენტმა პენსიონერმა ი. ბუხაიძემ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. კელენჯერიძემ, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მეოთხე სამგზავრო სავაგონო უბნის ყოველდღიური კედლის გაზეთის რედაქტორმა ლ. მაჩაბელმა. ყრილობისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი წაიკითხა სოფლის კორესპონდენტმა, წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის სკოლა-ინტერნატის პედაგოგმა გ. მუშკუდიანმა.

ჟურნალ „სოვეტსკაია პეჩატის“ რედაქციის, კორესპონდენტებისა და მკითხველების სახელით ყრილობის მონაწილეებს მიესალმა მისი მთავარი რედაქტორი ვ. პოდკურკოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, აზერბაიჯანის სსრ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალთასიანი არმიისა და მშრომელთა სახელით მისალმების გულთბილი სიტყვებით ყრილობას მიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ მ. ისკენდეროვმა.

ყრილობაზე რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ.

ყრილობამ მიიღო მიმართვა საქართველოს ყველა მუშა და სოფლის კორესპონდენტისადმი.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

* * *

საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება.

(საქდესი).

თბილისი

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკურ ყრილობას

გაზეთ „ტრუდის“ რედაქციის კოლექტივი მხურვალედ მიესალმება საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მებრძოლ რაზმს. გისურვებთ შემოქმედებითს წარმატებებს თქვენს დიდ კეთილშობილურ მუშაობაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაზეთ „ტრუდის“ მთავარი რედაქტორი
ბ. ბურკოვი

საზეიმო სხდომა მოსკოვში, მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 39-ე წლისთავისადმი

საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 39-ე წლისთავს.

22 თებერვალს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა ქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. სხდომა მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 39-ე წლისთავს.

საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრი საღღესასწაულოდ არის მორთული. დარბაზში შეიკრიბნენ მარშლები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები, წარმოების ნოვატორები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. სცენის სიღრმეში ცოცხალ ყვავილებშია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი. სამრძოლო დროშებთან, რომლებსაც შემოვლებული აქვთ ორდენების ლენტები, სპასტიო ყარაულში დგანან სამრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულნი.

საზეიმო სხდომის გახსნისას სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა გულითადად მიულოცა დამსწრეთ და მათი სახით მთელ საბჭოთა ხალხს და მის მეომრებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 39-ე წლისთავი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვება უსურვა დიდ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს, სახელოვან კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს.

მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების სახელით საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს მხურვალედ მიესალმნენ ქარხანა „სტანკოლიტის“ მემოდელე ვ. ფ. ტერენტიევი, მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სახელით — ვინოგრადოვოს რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ფ. ლოუკშინი, ქალაქის ინტელიგენციის სახელით — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი კ. ვ. ოსტროგიტიანოვი, ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ე. სემიჩასტნი, დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სახელით — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ტ. მარჩენკო.

საბოლოო სიტყვაში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა წარმომადგენლებს გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც მათ წარმოთქვეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიმართ.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

* * *

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 39-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები გაიმართა ავრეთვე მინსკში, ტაშკენტში, ტალინში, სტალინაბადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

ზრაქჯორების რემონტის მიმდინარეობა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 თებერვლის ცნობები)

რესპუბლიკის მტს-ებმა ტრაქტორების რემონტის გეგმა 20 თებერვლისათვის 100 პროცენტით შეასრულეს. ბევრმა მტს-მა კარგად მოაწყო ეს სამუშაო და დავალება გადაჭარბებით გაანაღდა.

რუსის მტს-მა ტრაქტორების რემონტის გეგმა შეასრულა 110,7 პროცენტით, გორის — 107,7, ახალსოფლის — 106,9, ბარალეთის — 107,9, ასპინძის — 112,5, ადიგენის — 140, თიანეთის — 103,1, დმანისის — 104,2, გომარეთის — 108,3, ასურეთის მტს-მა — 107,4 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით გაანაღდეს დავალება მანგლისის, ჯურჯაანის, ბადიაურის, წნორის, ალაზნის, ქედის, თელავის, ნაფარეულის, ალვანის, ენისლის, ვარდისუბნის, მარტყოფის, თელეთის, მცხეთის და მთელმა რიგმა სხვა მტს-ებმა.

რემონტის გეგმა აღნიშნული რიცხვისათვის შესრულებული არ ჰქონდათ ხაშურის, გომის, აგარის, ქარელის, კასპის, სამთავისის, დუშეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, განძის, წალკის, ავრალოს, თეთრი წყაროს, კაჭრეთის, ახმეტის, აფენის, ლაგოდეხის, წითელხიდის, ბორჯომის და ზოგიერთ სხვა მტს-ებს.

დათესილია საგაზაფხულო კულტურების პირველი ჰექტარები

აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ამ დღეებში შეუდგნენ საგაზაფხულო კულტურების შერჩევით თესვას. სიღნაღის რაიონში დათესილია 535 ჰექტარი, გარეჯიანის — 397, ყვარლის — 256, საგარეჯოს რაიონში — 267 ჰექტარი.

შერჩევით თესვა დაწყებულია გურჯაანის, წითელწყაროს, მცხეთის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

«უჭკნოგია ამ დღეთა დიდება...»

საბჭოთა არმიის ცენტრალური მუზეუმი მოსკოვში 1919 წლიდან არსებობს.

...შედიხართ თუ არა ამ მუზეუმში, თქვენს ყურადღებას იპყრობს დიდ კედელზე გაკრული ერთი დოკუმენტი. ეს არის სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 15 იანვრის დეკრეტი წითელი არმიის შექმნის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია ქ. პეტროგრადში ვ. ულიანოვ-ლენინის მიერ. გაივლით სულ მცირე მანძილს, და ერთბაშად ყურადღებას მიიქცევს მუზეუმში ახლახან გამოჩენილი ახალი ამაღლებული ექსპონატი — მაკეტი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის კაბინეტისა კრემლში. აქ მოჩანს მრავალი წიგნი და რუკა, უბრალო მორთულობა, ლამპები და სანთლები (იმ დროს მოსკოვში ელექტრონუქი ყოველთვის რიდი იყო). და აი ეს მაკეტი აღგვიდგენს ისტორიულ კაბინეტს, სადაც 1918 წლიდან 1922 წლამდე მუშაობდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემქმნელი ვ. ი. ლენინი.

აი კედელზე ხედავთ სურათს — „საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება ვ. ი. ლენინის მიერ საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობაზე“. სურათზე გამოხატულია დიდი ბელადი თავის თანამებრძოლებთან — ი. სტალინთან, ფ. ძერჟინსკისთან, ი. სვერდლოვთან ერთად.

ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი ფოტოსურათი. მასზე გადაღებულია ის მომენტი, როდესაც ვ. ი. კიკვიძის მიერ ჩამოყალიბებული დივიზიის მებრძოლები წითელარმიულ ფიცს დებენ (ქ. ტომსკი, 1918 წ.). ფიცის ტექსტს კითხულობს კომისარი ნ. ი. პოდვოისკი. მის გვერდით ვხედავთ სახელმოხვეჭილ დივიზიის უფროსს ვ. კიკვიძეს.

დიდ ინტერესს იწვევს ექსპონატები სამოქალაქო ომის გმირის ა. ი. პარხომენკოს შესახებ. მასზეა ნათქვამი კ. ე. ვოროშილოვის სიტყვები: „მისი ცხოვრება იყო მშვენიერი ზღაპარი, პროლეტარული ხულის სიდიადის სიმბოლო“. აქვე ექსპონირებულია ორი საბრძოლო ჯილდო — წითელი დროშის ორდენები. აქვეა ა. ი. პარხომენკოს მანდატი, რომელსაც ხელს აწერს ი. ბ. სტალინი ცარიცინის ფრონტის ჯარებისათვის შეიარაღების წამოსაღებად ქალაქ მოსკოვში მისი მივლინების შესახებ.

რასაკვირველია, გვერდს ვერ ავუვლით 1917-1918 წლების საბჭოთა პლაკატებს და, განსაკუთრებით, სურათს — საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი — დეკრეტი ზავის შესახებ. რა ბევრი რამ და რა ძლიერად არის თქმული მხატვრის მიერ ამ ნაწარმოებში ხალხის ფიქრებისა და გრძნობების შესახებ!

მუზეუმში ბევრი რამ მოგვითხრობს საბჭოთა არმიის სახსახელო საქმეებზე, საბრძოლო გმირობაზე სამოქალაქო ომის პერიოდში. და ბუნებრივია, რომ მარტო სიმღერა კი არ არის შექმნილი იმის შესახებ, რომ „უჭკნობია ამ დღეთა დიდება“... ხალხის მეხსიერებაში წარუშლელად დარჩება ჩაპაევის, ლაზოს სახეები, ანტანტის მესამე ლაშქრობის განადგურების გმირთა სახეები, რომელთა სახელი ლეგენდა. საოცარი ბუნებრივია, რომ არ შეიძლება არ მოიხიბლო ვ. ი. ჩაპაევის სახით, არ შეგიძლია გულდამშვიდებით ჩაუარო საბჭოთა არმიის ამ ლეგენდარული გმირის საბრძოლო ხმალს, მის კავკასიურ ნაბადს, რომელიც აქ ექსპონირებულია, აგრეთვე ერთ-ერთ სურათს, რომელზეც აღბეჭდილია ამაღლებული სცენა — დემობილიზებული მეომრების გამოთხოვება პოლკის საბრძოლო დროშასთან, რომლითაც ისინი იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ.

ისტორიის ანალებში სამუდამოდ შევიდა ფოტოსურათი, რომელიც დაკავშირებულია წითელი არმიის დიდებასთან და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან. ეს სურათი გვიჩვენებს წითელი არმიის ნაწილების შესვლას თბილისში (1921 წლის თებერვალი). აქ არსებული ტექსტი ერთხელ კიდევ გვაგონებს იმას, რომ საქართველოს განთავისუფლებით და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა ბრძოლა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც უცხოეთის იმპერიალისტებს ემსახურებოდნენ.

მნახველები ბევრ თბილ სიტყვებს კითხულობენ სერგო ორჯონიკიძის შესახებ, რომლის სახელი განუყრელად დაკავშირებულია ბოლშევიკების ბრძოლასთან. მის შესახებ ექსპოზიციებში ნათქვამია: „გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი“.

ბევრი რამ არის საყურადღებო განყოფილებაში — წითელი არმია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების, სსრ კავშირში სოციალიზმის დამყარებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დაწყების პერიოდში (1921-1941 წ. წ.).

მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მასალებს საბჭოთა არმიის შესახებ 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებენ ექსპონატები ბრესტის ციხე-სიმაგრის გმირული დაცვის შესახებ.

ყურადღებას იპყრობს აუარებელი ექსპონატები, რომლებიც მეხსიერებაში აღგვიდგენენ საბჭოთა მეომრების უმაგალითო თავგანწირულ ბრძოლას ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ. ტყვიებით გახვრეტილი და ყუმბარების ნამსხვრევებით დაფლეთილი დროშები, რომლებიც იბრძოდნენ სახელმოხვეჭილი ჯარის ნაწილები და შენაერთები, პარტიული, კომკავშირული ბილეთები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ბრძანებები, რუკები, სქემები, სკულპტურები, სურათები, შაშხანები, რეკოლვერები, ქვემეხები, გმირების პორტრეტები, მათი პირადი ნივთები. რამდენი ახალი ძვირფასი და სამახსოვრო რამ არის აქ შეგროვებული!

ხალხთა მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ლენინგრადის ბლოკადასთან, ცნობილ ყინულოვან ტრასასთან. აუღელვებლად ვერ ჩაუვლით იმ ექსპონატებს, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლებზე მოსკოვთან. ჩვენი ხალხი წმიდად ინახავს ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია ისტორიულ ბრძოლასთან მოსკოვის მისადგომებთან, სტალინგრადის გმირულ დაცვასთან, რამაც მთელი მსოფლიო განცვიფრებაში მოიყვანა, სტალინგრადთან გერმანელი ფაშისტების ჯარების განადგურებასთან.

საყვარელი სამშობლოსათვის დიდი ბრძოლების დაუვიწყარ წლებში საბჭოთა არმიის უძლეველი ძლიერების სიმბოლოდ მოჩანს—„ბმ-13“ მარკის გვარდიის რეაქტიული ნალმსატყორცნის („კატიუშას“) მოდელი.

დადიხართ მუზეუმის განყოფილებებში და წარმოგიდგებათ გვარდიის გენერალ პანფილოვის შენაერთის გმირთა, ხევსატოპოლის გმირული თავდაცვის მონაწილეთა უკვდავი საგმირო საქმეები. აქ არის საბჭოთა კავშირის გმირის პოდპოლკოვნიკ მ. ს. დიახამეძის პორტრეტი.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის სამგზის გმირის ა. ი. პოკრიშკინის სკულპტურული ბიუსტი. ბევრი რამ გვაგონებს აქ კარგად ცნობილ სახელებს — მარშალ ტოლბუხინს, გენერალ ბატოვს.

ხალხი მოკრძალებით უყურებს მუზეუმში დაცულ გამარჯვების დროშას, რომელიც 1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა მეომრებმა აიფრიალეს ბერლინში რაიხსტაგის თავზე. ეს არის ბრძოლების ქარცეცხლში გამოტარებული უარალო ალისფერი დროშა. აი მაკეტი ცეცხლმოდებული რაიხსტაგისა გამარჯვების წითელი დროშით. ფოტოსურათები მეომრებისა. ესენი არიან სერჟანტი მ. ეგოროვი და უმცროსი სერჟანტი მ. ქანთარია, რაიხსტაგის სახურავზე რომ ავიდნენ გამარჯვების დროშით.

მნოფლოოს ხალხებს ახსოვთ ეს დიადი გამარჯვება, აფასებენ მას. ამის საუკეთესო დადასტურებაა მრავალრიცხოვანი საჩუქრები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, სამაზსოვრო საჩუქრები, რომლებიც მიღებულია დედამიწის ყოველი კუთხიდან ომის წლებში და ომის შემდეგ.

მაგრამ აი ომის ქარტეხილმა გადაიარა. საბჭოთა არმია დგას თავისი სამშობლოს, მისი სიმდიდრის, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომისა და სიცოცხლის სადარაჯოზე.

სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა არმიის ცენტრალური მუზეუმი შეივსო ახალი მასალებით ომისშემდგომ პერიოდში (1945 წლის შემდეგ) საბჭოთა შეიარაღებული ძალების ყოფაცხოვრების შესახებ, მასალებით სკკპ XX ისტორიული ყრილობის შესახებ.

მუზეუმში ექსპონირებულია დიად სამუშაოთა — მეექვსე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა გეგმა.

ჩვენი ქვეყნის ხალხები სათუთად ინახავენ ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია სახელოვან მშობლიურ საბჭოთა არმიასთან, ამასთან საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ ივიწყებენ სიფხიზლეს, რომლისკენაც მათ მუდამ მოუწოდებს მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ს. რიჟინაშვილი.

1957 წლის 27 თებერვალს საღამოს 7 საათზე თბილისის შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.

დღის წესრიგი:

„საბინაო მშენებლობის 1957 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების შესახებ“.

რუსთავი

სურათზე: ცვლის უფროსი ზ. კვახაძე (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება მეფოლადის პირველ დამხმარეს ა. ულუმბელაშვილს, მეფოლადეებს ზ. ყაველაშვილსა და უ. მარუაშვილს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ცეცხლოვანი ფერების ნამდვილი ფეიერვერკია ღამით რუსთავის ცაზე. უკეთესს რას ნახავს კაცის თვალი! განსაკუთრებით ლამაზია იგი შორიდან — ქალაქის მოციმციმე ელნათურებს იქით მოჩანს პაიროვან ნისლში გახვეული ქარხნების კონტურები, დიაგრამის სვეტებივით მაღალ-დაბალი მილები, მილები მრავალი, უთვალავი — ზოგი სწორი და ცადატყორცნილი, ზოგი მოხრილი და გაწოლილი.

უნებლიეთ გაგონდება პლაკატები ფაბრიკა-ქარხნებით, ობლიგაციებზე გამოხატული ინდუსტრიული ხედვით, მშრომელი ხალხის კეთილშობილური ოცნება და თავდადებული შრომა იმისათვის, რომ სინამდვილედ ექცია ნახატები. პირველი ხუთწლედიდან მოკიდებული მეექვსე ხუთწლედამდე წითელ ზოლად გასდევს ჩვენს ცხოვრებას მძიმე ინდუსტრიისათვის ბრძოლა.

უდიდესი შემოქმედის — საბჭოთა ადამიანის ხელი ჯერ ქაღალდებზე, პლაკატებზე ქმნიდა ქვეყნის მომავალი ინდუსტრიული ძლიერების სურათებს, ახლა კი, როცა მან რეალურად შექმნა მაგნიტოგორსკი და სტალინსკი, რუსთავი და სუმგაითი, — მხატვრებს ნატურიდან გადაქვთ პლაკატებზე.

სხვა მონაპოვარზე რომ სრულიად არაფერი თქვა კაცმა, საკმარისია ახსენო მარტო რუსთავი, და ნათელი გახდება, თუ რა მოუტანა საბჭოთა წყობილებამ საქართველოს.

სამშობლოს მიწის ამ ნაკვეთზე წინათაც ყოფილა ქალაქი, ბოსტან-ქალაქის სახელით შესული ძველთა-ძველ მატიანეში. მაგრამ მტრებმა, გარეშე მტრებმა ცეცხლითა და მახვილით წაშალეს მისი სახსენებელი.

ქართველი ხალხის მადლიანმა მარჯვენამ, რომელსაც ჩვენი სამშობლოს ხალხთა ათასობით ძმური ხელი წამოეშველა, მკვდრეთით აღადგინა, აალორძინა, ახალ საძირკველზე დაფუძნა წინათ ფერფლადქცეული ქალაქი.

გადატრუსულ ველზე ზღაპრული დევებივით წამოზიდულან ბრძმედები, მარტენის ღუმელის მილები, საგლინავ საამქროთა კორპუსები... გავარვარებულ აგრეგატებთან დგანან საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი, თვალანთებული მეფოლადეები, მებრძმედეები, მგლინავები, მეკოქსეები. გაიზარდნენ, ოსტატობის მაღალ საფეხურზე ავიდნენ გუშინდელი რიგითი მეტალურგები. მეფოლადე ზურაბ კვახაძე ცვლის ოსტატია. ცნობილი ჩქაროსანი მეფოლადე შალვა კუხალეიშვილი — მარტენის საამქროს პარტიიროს მდივანი. ვარდიშ კობერიძე ოსტატიდან — ობიროსტატი, რუსლან ამბოკაძე ოპერატორიდან—უფროსი ოსტატი. ისინი სხვებმა შეცვალეს. გამოჩნდნენ ახალი ადამიანები — მეფოლადეები ზაქარია ყაველაშვილი და მიხეილ სპანდარაშვილი. ბრძმედზე მესამე მეაირეობით დაიწყეს შრომითი საქმიანობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა მეგობრებმა მამია მინდელმა და ჯუდუ ცხელიშვილმა. ახლა ისინი ცვლის უფროსები არიან.

ქართული ფოლადის მავთულზე გავიდნენ ვაზები კახეთისა და იმერეთის ზვრებში, რაჭისა და ქართლის ვენახებში. ქართული ფოლადის ძარღვებით მიედინება ბაკოს ნავთობი. რუსთავის რკინა-ბეტონის ნაწარმის კომბინატში დამზადებული მილებით შემოდის ბულჩაურის წყალი დედაქალაქში.

ჩვენებურ ლითონს მარტო საქართველოში როდი იყენებენ, მას კარგად იცნობენ ამიერკავკასიაშიც, საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებშიც, საზღვარგარეთაც — არგენტინაში, ინდოეთში, ირანში და ავსტრიაში, სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში.

უნებურად გახსენდება საბჭოთა ხელისუფლების „ძველი“ წლები, პირველი ხუთწლედის დიადი წლები, როცა სოციალისტური მრეწველობა, მძიმე ინდუსტრია ის-ის იყო ფეხს იდგამდა. მაშინ ჩვენს ახალგაზრდა სპეციალისტებს სად არ ნახავდით — ყველგან, ამერიკასა თუ ევროპაში. ისინი იყვნენ დეტროიტში — ფორდის ქარხნებში, ჩიკაგოში — მაკ-კორმიკის ქარხნებში, ესენი — კრუპის ქარხნებში, ხარბად ითვისებდნენ ყველაფერს, რაც კი გამოადგებოდა სოციალისტურ სამშობლოს. შემდეგში, საქართველოს წარგზავნილები ლითონის დნობას სწავლობდნენ მაგნიტოგორსკელებისა და სტალინოელებისაგან, დნეპროძერჟინსკელებისა და სტალინგრადელებისაგან. ბოლოს ისე გაიწაფნენ, დავუკაცდნენ და გამოიწრთნენ ქართველი მეტალურგები, რომ თვითონ ეხმარებიან სხვებს, არა მარტო მოძმე რესპუბლიკების მეტალურგებს (აქ იზრდებოდა სუმგაითის ბევრი მომავალი მეფოლადე და მგლინავი), არამედ უცხოელებსაც. რუსთავის მშენებელი-მეტალურგები პ. გურგენიძე და ნ. ლობოკი სხვა საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად აგებენ მეტალურგიულ ქარხანას ინდოეთში — ბჰილაიში. აი კიდევ ერთი პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი ფაქტი: სულ ახლახან, 21 თებერვალს რუსთავიდან სამშობლოში გაემგზავრა რუმინელ მეტალურგთა დიდი ჯგუფი, 40-მდე კაცი. ექვს თვეს გადიოდნენ ისინი პრაქტიკას ამიერკავკასიის სტალინის სახელობის ქარხანაში. ძმა ძმისთვისაო, ნათქვამია, და არც ქართველები იშურებენ მეგობრებისათვის თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. აი როგორ გავიზარდეთ, აი როგორ დავვაკაცდით!

გარდა მეტალურგიული ქარხნისა, სხვა დიდი საწარმოებიც აიგო რუსთავში. აშენდა და მუშაობს აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნები, რკინაბეტონის ნაწარმის კომბინატი.

ლამაზი, არქიტექტურული ანსამბლებით, მრავალსართულიანი შენობებით და კოტეჯებით დამშვენდა რუსთავი. სქელ ფარდაგებად დაფენილა სწორ ქუჩებსა და მოედნებზე ასფალტის საფარი. ჭანდრები და კედრები ჩამწკრივებულან ქალაქში და ქალაქგარეთ, ჩვენს სიამაყეს, დედაქალაქის რუსთაველის პროსპექტს პირველობას ედავება რუსთავის ცენტრალური პროსპექტი.

მტკვრის ერთ ნაპირზე ველარ ეტევა ახლა ქალაქი, მხრებს ზლის, იზრდება და ფართოვდება. მდინარის მარჯვენა მხარეს გადავიდა, ვაკიდან იალღუჯის ფერდობებზე შეეფინა. ახლა აქ უკვე ახალი საცხოვრებელი სახლებია, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ახალი უბნები.

ჰყვავის, იფურჩქნება ომისშემდგომი ხუთწლედების პირმშო, ტრამალებში შობილი ქალაქი რუსთავი.

ვაშა მის მშენებლებს! ვაშა მეტალურგებს!

ს. ხარაზიშვილი.

რუსთავი. მთავარი პროსპექტისა და მშენებელთა ქუჩის ჯვარედინი.

ოჯახისა და ოფის გასართობად

— ხან ბოროტი ხარ, წყეულო ღამევ, როგორც იდუმალი ჭაობი, და რა არ იბუდებს შენში! გუშაგის ნაბიჯების ხმაც არ ისმის. ჯოჯოხეთური სიჩუმეა გარეთ, პავლე!

— რას გვეძადის, ნეტავ, კოლკა, ეს სიჩუმე?..

— ტყვიისა ისე არ მეშინია, როგორც სიჩუმისა... სიჩუმე ბოროტების ბუდეა ზოგჯერ.

— მოიცა, დადექ ერთ ადგილას, და ერთი ნუ აყღარუნებ ამ ბორკილს, გაუწყდეს გამომძედი.

— შლისელბურგისა და მეტეხის საკნები დიდედას ტკბილ ოთახად მაგონდება ამ ამშენებელდაქცეულთან შედარებით.

— შლისელბურგი და მეტეხი?.. ეს კი ქუთაისის საგუბერნიო ციხეა, ნუ დაგავიწყდება! ყველა გავლილი სიმწარე ტკბილდება, როცა გადაურჩები... აი, გენერალ ბარათოვზე თავდასხმისათვის დახვრეტას რომ გადაურჩი, ხომ ტკბილად გაგონდება, პავლე ჩემო?

— მაგრამ ამ ღამეს კი გადაურჩებით? იცი, კოლკა, ჩემი ვაჟი მეზამნა წელან, კედელთან მიყრდნობილს რომ ჩამთვლიმა. გამომეცხადა ჩემი პატარა ვაჟი, შემოცოცდა საკანში. „რატომ გაქვს ბორკილი, მამა? — მეუბნება, — მე შეგიხსნი!“ „ვერა, მამა გენაცვალოს“, — ვეუბნები. ავიტაცე, ავიტაცე და გამიფრინდა, ამ სარკმლიდან გამიფრინდა, როგორც ჩიტი. თან მომძახის: „არ დაგტოვებ აქ, მამილო!“ ვგრძნობ, ველარა ვსუნთქავ, ვბორძიკობ, თურმე ვეცემი, შენ კი დამაკავე...

შუაღამე გადასულია. სარკმელში ქარი გულსაკლავად ზუზუნებს. საკანში ბორკილები ელარუნებენ. ნაბიჯების ხმა. უთუოდ გუშაგები არიან. საკნის კართან წყდება იგი.

— ყურს გვიგდებენ, პავლე!

— ნეტავ გააღონ, კოლკა, ქარი, ერთი წუთით, ერთი წუთით მაინც... არსად, არასოდეს, არც ერთი საკანი ასე აუტანელი არა ყოფილა ჩემთვის!

გასაღებმა გაიჩხაკუნა. სანეტარო ხმა — ქარი იღება. მაგრამ ესენი გუშაგები არ არიან.

— მარდალეიშვილი პავლე იოსების-ძე!

— აქა ვარ.

— გამონაპირდი აქეთ. ივანოვი ნიკოლოზ ვასილის-ძე!

— აქა ვარ.

— გამოდით კარში!

ციხის ეზო. შავი ღამე. სუსხიანი ქარი. ხარბი სუნთქვა.

მაგრამ ეს რა ხმებია, უცნაური რიონის მხრიდან?!

„გესმის, კოლკა?“

„მესმის, ბიჭო! თითქოს ჩვენების ხმასაც ვარჩევ. ეს ხმა რიონიდან მოდის. „ვაშას“ გუგუნია. განთიადი ახლოვდება.

— ...აი თქვენ გესმით ხმა რიონიდან. ეს ხმა თქვენებისაა. გვაქვს პატივი ვიყოთ მახარობლები. ბოლშევიკები შემოდიან, თქვენები შემოდიან, გაიხარეთ. ჩვენ დავალებული გვაქვს დემოკრატიული საქართველოს ჰუმანური მთავრობის სახელით გაგიყვანოთ ციხიდან და თქვენი თავი ჩავაბაროთ ტყვე ბოლშევიკების შესაკრებ პუნქტში, აგერ ახლოს — საღორიის ტყეში... ხომ გახსოვთ საღორიის ტყე — თქვენი ორგანიზაციების ერთ-ერთი სამოქმედო ასპარეზი...

ახსოვთ, როგორ არ ახსოვთ!..

— მაგრამ ბორკილებით? — ეჰვს გამოთქვამს მარდალეიშვილი, — ბორკილებით აქედან ტყემდე?

— დაიქანცებით, ბატონებო, ჩვენი მძიმე ნაბიჯების კვალდაკვალ, არა სჯობდა ბორკილები შეგეხსნათ? — დაურთავს ივანოვი.

— ო, არა, ბატონებო, ჩვენ ეს არა გვაქვს ნაბრძანები. ბატონ ვალოდია სულაქველიძეს სურს იქ თავისი ხელით შეგხსნათ იგი, მოგილოცოთ კიდეც გამარჯვება თქვენ, აჯანყების აქტიურ მონაწილეებს, და ბოდიშიც მოიხადოს...

— ო, დიდად დავალებული ვართ მისი კეთილშობილებისაგან... რას იზამ, დავიძრათ, ჩემო პავლე!

გუგუნი ახლოვდება. განთიადი ახლოვდება. გამარჯვებულთა სანეტარო ხმები შორიდან მოაქვს ქარს.

ქუთაისის ბნელ ქუჩაში მძიმედ მიაბიჯებენ ორნი და მიაყღარუნებენ ბორკილებს, ხელფეხს რომ შემოსვდობია.

— აქ ჩემი მოგვარენი ცხოვრობენ, კოლკა, აქ მივლია მე, ამ ქუჩასთან ბევრი რამ მაკავშირებს.

— ჰო, მეც ვიცნობ მას... რა სიბნელეა, აქ ადამიანის ჭაჭანება არსად არის, მაგრამ საკნიდან გამოსულს მაინც მესიამოვნება ღია ცის ქვეშ ლაღად სუნთქვა.

ტყე ახლოვდება — უფრო ბნელი და უკუნი, ვიღრე ეს ღამეა. გამცილებლები ნაბიჯს ანელებენ. ბორკილიანები წინ მიიწევენ.

— ეჰ, ქლიბო, ქლიბო, სად გდიხარ იქნებ უქმად და სად ხარ საჭირო! — ჩაილაპარაკებს პავლე.

— ცუდი წინაგრძნობა მაქვს. განთიადის წინ ხომ არაფერი მოგველის!

ნიკოლოზის ამ სიტყვებს დუმილი მოსდევს. კვლავ გზა — მძიმე, ბორკილების გზა, მაგრამ სადამდის?

— სდექ! — ისმის განკარგულება.

„ე-ე-ე“ — მოსცა ეხო ტყემ.

გამცილებლები ერთმანეთს ეჩურჩულებიან. მწყობრად გაისმის შაშხანების საკეტის ხმა.

გუგუნი რიონის მხრიდან ახლოვდება. დღე ებრძვის ღამეს, შუქი — ბნელს. და აი ღამისა და დღის ამ გასაყარზე იჭექებს შაშხანების მწყობრი ზალპი. ბორკილების უკანასკნელი მძლავრი აყღარუნება, ორი მუხის ზათქით დაცემა.

— კოლკა, ნიკოლაი ვასილევიჩ, რუსო ამხანაგო, მომეცი ხელი უკანასკნელად.

— ჯალათები! მაგრამ განთიადი ახლოვდება, პავლე, ჩვენ ვკვდებით გარიჟრაჟზე.

— დაჭრილან მხოლოდ. ეს ცოტაა!..

— ესმით ბოროტი ხმა დაცემულთ.

— წყალი... წყალი, ჯალათებო! თქვენი აღსასრული ახლოვდება. ეს ბოროტება ძვირად დაგიჯდებათ. გესმით თუ არა ძლევამოსილი „ვაშას“ ძახილი?!.

— წყალი? წყალი ახლავე, ბოთლებით დალევთ?

პასუხად ისმის გმინვა დაჭრილებისა.

აი ბოთლებიც. წყურვილს მაინც მოიკლავენ სიკვდილის წინ.

— ეს ნავთია, ჯალათებო!

— ნავთია?..

და ამ ცინიზმს მოსდევს მერე შუასაუკუნეობრივი ინკვიზიცია — წამებულთა სხეულზე ჯალათები ცლიან ბოთლებს, ირგვლივ ფიჩხებს ყრიან, ასანთს უკიდებენ... იფეთქებს ალი, ალში ეხვევა დაჭრილთა სხეული, ისმის გმინვა და საზარელი შეძახილები.

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, წარმოთქმული ქართველი და რუსი წამებული ამხანაგებისა, ქართული სიტყვები — ივანოვი ხომ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი იყო.

აჯანყებულთა ტალღა ქალაქს უახლოვდება. აი ციხეც. „ივანოვ, მარდალეიშვილი! თავისუფლება ძმებს!“ — ისმის აჯანყებულთა ხმა, ცას რომ სწვდება, მაგრამ ამ დროს ქუთაისის ტყის პირას ალი ნელდებოდა და საქართველოს ოქტომბრისათვის წამებული ორი მოძმის ცხედარი იწვოდა.

ქუთაისის თავზე ფრიალებდა ბრძოლებში გამოტარებული ალისფერი დროშა.

...მადლიერმა ხალხმა ქართველი და რუსი ამხანაგების ნაწამები ცხედრები გადმოასვენა ტყიდან და დიდი პატივით დაკრძალა ძმათა სასაფლაოზე. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გმირები სიკვდილის შემდეგ საბჭოთა საქართველოს წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა.

...ქუთაისში რიონის მარჯვენა მხარეს არის ქუჩა, რომელიც ძმობის სიმბოლოდ ივანოვ-მარდალეიშვილის სახელს ატარებს, და რომელიც, როგორც მცირე მდინარე დიდს, ხოლო ყველა — ზღვას, — ერთვის ახალი სოციალისტური ინდუსტრიული ქუთაისის ქუჩებს და ქმნის მათთან ერთად ახალ სიცოცხლეს და მაჯისცემას. თითქოს სიმბოლოდ, სწორედ ამ ქუჩაზე აღმართულია მაუდის ფაბრიკის კორპუსები, საბჭოთა რუსეთის ოციანი წლების ძმური საჩუქარი საბჭოთა საქართველოსადმი, აქ, ამ ქუჩაზე სკოლები და საბავშვო ბაღებია, საავადმყოფო და პოლიკლინიკაა. ამ ქუჩაზე ცხოვრობენ ქართველები და რუსები, სომხები და უკრაინელები, მუშები და ინტელიგენტები — ახალი სოციალისტური სამშობლოს შვილები. მრავალი, მრავალი ადამიანის მისამართია: ქუთაისი, ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩა, იმ ადამიანების სახელობის ქუჩა, რომლებიც ღამისა და დღის გასაყარზე დაეცნენ მტერთან ბრძოლაში.

ვლ. თოლორდავა.

საბჭოთა საქართველოს 36 წელი

მ. ჩუბინიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სულ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი წარმატებებით აღნიშნა რა საბჭოთა საქართველოს 35-ე წლისთავი, შეაჯამა იმ მუშაობის შედეგები, რომელიც მან გასწია 35 წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი სიხარულის გრძნობით ეგებებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავს.

წელიწადი, რომელიც გავიდა საბჭოთა საქართველოს 35-ე წლისთავის შემდეგ, არაჩვეულებრივი წელია. ამ წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა უდიდესი მოვლენები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საბჭოთა კავშირის შემდგომი განვითარებისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო ცხოვრების განვითარებისთვისაც.

გასულ წელს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობა. ყრილობამ შეაჯამა იმ გრანდიოზული მუშაობის შედეგები, რომელიც გაწეულია საბჭოთა კავშირში სკკპ XIX ყრილობის შემდეგ, და დასახა ჩვენი სამშობლოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი მნიშვნელოვანი ამაღლების დიდებული პროგრამა.

გასულ წელს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელმაც განიხილა იმ ბრძოლის შედეგები, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწეოდა მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; გამოააშკარავა არსებითი ნაკლოვანებანი დაგეგმვისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში, მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების საკითხებს. პლენუმმა დასახა ჩვენი სამშობლოს მრეწველობის შემდგომი განვითარების პროგრამა.

5-12 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხები, დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განიხილა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხი და მიიღო დადგენილება, რომელიც იწონებს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს მრეწველობისა და მშენებლობის ორგანიზაციისა და მართვის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

მთელი საბჭოთა ხალხი, რომელსაც ღრმად უყვარს მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა და რომელიც დარწმუნებულია, რომ მათი მიზანია ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს შეეგება როგორც შემდგომი მუშაობის საბრძოლო პროგრამას. ჩვენი სამშობლოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მათი განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები, რომლებიც ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მიმდინარე წლის თებერვალში გამოაქვეყნა, თვალსაჩინოდ მოწმობენ, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულების საქმეში. საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1956 წელს თითქმის 11 პროცენტით აღემატებოდა 1955 წლის დონეს — გადიდდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ქვანახშირის, ნავთობის, გაზის გამოშვება, ელექტროენერგიის გამომუშავება და სხვ.

უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც ხორბლის, ბამბის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმაგალითო მოსავალი მოიყვანეს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ზრდამ საშუალება მისცა პარტიასა და საბჭოთა მთავრობას განეხორციელებინათ მთელი რიგი ღონისძიებანი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, დაწესდა ექვსი საათის სამუშაო დღე დასვენების დღისა და უქმეების წინადღეებში, გადიდდა მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიები, გადიდდა მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, გადიდდა შვებულება ორსულობის გამო, გაუქმდა სწავლის ქარა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ.

იმ წარმატებათა მიღწევაში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა, ქართველმა ხალხმაც შეიტანა თავისი წილი.

1956 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება რესპუბლიკის მრეწველობამ 102 პროცენტით შეასრულა. რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 29,6-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს და მან თითქმის 3-ჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

ასრულებდნენ რა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო აამშენეს და აამუშავეს. მწყობრში ჩამდგარ საწარმოთა შორის არის ტყიბულჰესი, გუმათის მეორე ჰესი, ბეჟიის ჰესი. 1956 წელს რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგურმა თითქმის 120-ჯერ მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა, ვიდრე 1913 წელს.

1956 წელს მწყობრში ჩადგა რუსთავის ცემენტის ქარხანა, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატი“, გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკა, თელავნის ღვინის ქარხანა, ქუთაისისა და სოხუმის პურის ქარხნები, ცხაკაიას მეფრინველეობის ფაბრიკა, ქუთაისისა და თერნალის რძის ქარხნები და სხვ.

სულ რესპუბლიკაში 1955 წლის დამლევისათვის მუშაობდა სახელმწიფო მრეწველობის 4.265 დიდი და წვრილი საწარმო და სარეწაო კოოპერაციის 1.329 საწარმო.

შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოებაში ახალი ტექნიკის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა შეძლეს გასულ წელს მიეღწიათ იმისათვის, რომ გადიდებულიყო მრეწველობის თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის გამოშვება.

მარგანეცის მადნის ამოღებამ 1956 წელს გადააჭარბა მარგანეცის 1920 წლის ამოღების დონეს 24-ჯერ და უფრო მეტად და 1940 წლის დონეს ერთიორად და უფრო მეტად. რესპუბლიკის მარგანეცის მრეწველობის მუშაკები წლითიწლობით ადიდებენ ამ უძვირფასესი მადნის ამოღებას და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პირნათლად შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის დავალებანი.

რესპუბლიკაში ბევრად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. გასული წლის დამლევს მწყობრში ჩადგა ახალი ტის მაღაროთასამმართველოს № 3 ახალი შახტი. 1956 წელს ამოღებულ იქნა 40-ჯერ მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1913 წელს, და 4,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

თუჯის გამოდნობის გეგმა გასულ წელს 103 პროცენტით შესრულდა, 1955 წლის დონე გადაჭარბებულია 40 პროცენტით. ფოლადის გამოდნობის გეგმა შესრულდა 103 პროცენტით, რაც 18 პროცენტით მეტია, ვიდრე 1955 წელს.

გადიდდა აგრეთვე ნაგლინის, კოქსის, სატვირთო ავტომობილების, ექსკავატორების, ჩარხების, სამენი მასალების — ცემენტის, აგურის, კირის გამოშვება და სხვ.

ასრულებდნენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს ფართო მოხმარების საქონლით და კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების შესახებ, რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს ამ სახეობათა პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად. მაგალითად, შარშან ბამბის ქსოვილები გამოშვებულ იქნა 40.765 ათასი მეტრი ნაცვლად 1940 წლის 359 ათასი მეტრისა, შალის ქსოვილები—4.376 ათასი მეტრი ნაცვლად 1940 წლის 1.924 ათასი მეტრისა, აბრეშუმის ქსოვილები — 17.824 ათასი მეტრი ნაცვლად 1940 წლის 5.291 ათასი მეტრისა.

1956 წელს ჩაის პირველადმა დამუშავებამ მიაღწია 36.728 ტონას, მაშინ როცა 1913 წელს გამომუშავებული იყო მხოლოდ 128 ტონა, ხოლო 1940 წელს— 15.434 ტონა. 1956 წელს გამოშვებულია 4.573 ათასი დეკალიტრი ყურძნის ღვინო ნაცვლად 1940 წლის 1.675 ათასი დეკალიტრისა. ბევრად გადიდდა აგრეთვე ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, მზა ტანისამოსის, ავეჯის, ერმო-კარადების, პაპიროსის, შაქრის, კონიაკის, მინერალური წყლების, საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება და სხვ.

შარშან რესპუბლიკის სასურსათო საქონლის მრეწველობის, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროების საწარმოებმა თითქმის 7.400 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში წარმატებებთან ერთად იყო არსებითი ნაკლოვანებებიც, რომლებიც გამოიწვია როგორც ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა ცუდმა მუშაობამ, ისე არასწორმა დაგეგმვამ. ამის შედეგად რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმები ნომენკლატურისა და ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის მიხედვით. ექვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელები დიდი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში აღმოფხვრიან თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებებს და პირნათლად შეასრულებენ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს 1957 წელს.

* * *

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს სოფლის მეურნეობის უძვირფასესი დარგების განვითარებისათვის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში ჩაის, ვაზის, ხილის, ციტრუსების, თამბაქოს და სხვა კულტურების განვითარებას.

1956 წელს ჩაის ფართობმა 66 ათასი ჰექტარი შეადგინა, ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობმა — 15,6 ათასი ჰექტარი, ვენახისამ — 55,3 ათასი ჰექტარი, ხეხილის ბაღების ფართობმა— 101,8 ათასი ჰექტარი.

ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განსაკუთრებით უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე დიდად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა, გადიდდა მისი პროდუქტიულობა, მაგალითად, 1956 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში იყო 669.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან ძროხა — 177.100 სული, მაშინ როცა 1940 წელს რესპუბლიკაში იყო 569.200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 70.000 სული ძროხა. ღორის სულადობა იმავე პერიოდში გადიდდა შესაბამისად 45.700 სულიდან 200.400 სულამდე, ხოლო ცხვრისა და თხისა 969.000 სულიდან 1.392.800 სულამდე.

შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ერთი საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობის გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს.

გასულ წელს რესპუბლიკამ შეასრულა მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის,

ჰუგო ჰუპერტი

შეუდრეკელი ხალხი

1.

რომ კითხულობ ქართველ ხალხის მატიანეს —
თითქოს ხალხის გულში დანა ატრიალეს.
ის შეება ათას მტარვალს, ათას ვერაგს,
და ძილშიაც ატარებდა რკინის პერანგს.
გლოვის დღეებს ცვლიდა ქვეყნის განახლება,
და ფერფლიდან ძლევის დროშის ამაღლება.

ქართველებმა ღამე თეთრად გაათიეს,
რომ ეს მიწა არ ეთელა გადამთიელს,
და ეს ხალხი ვერ ასწრებდა გუთნის შებმას,
ვერ იგრძნობდა შრომის შემდეგ გული შვებას,
რომ ურჯულო ხალხთა სისხლით დასვრილ მთვარეს
აძგერებდა მის ტაძრებსა და სიმაგრეს.

აგერ, შაჰი ყელში სწვდება, თურქი შფოთავს,
ყიზილბაში ხანძარს აძლევს უკვდავ შოთას, —
სისხლის წვიმა რწყავდა მიწას მთიდან ბარად,
სისხლის წვიმა იღვრებოდა ზღვად და ღვარად. —
მაგრამ ხალხი ედგა მამულს ხსნად და ფარად,
და რჩებოდა მტკიცე ნებით კვლავ ეს ხალხი,
სულით, ხორცით ქენჯნილი და მაინც ლაღი.

თანაც ქმნიდა ასე მაღალ ხელოვნებას,
სთავაზობდა სულს დახვეწილ გემოვნებას.
აბჯარასხმულს ზღვა სიკეთე დაუთესავს,
ყურს აპყრობდა ყოველ მხარეს ჩაგრულთ კვნესას,
თან საგმირო ჰიმნებს თხზავდა მუდამ სალი,
განსაცდელშიც ქედუხრელი მუქა ხალხი.

და ეს გულში ატარებდა დროთა ტკივილს
ყამთა სვლაში ალამგაშლილ ხომალდივით.

2.

დიდი ხანია ტრაგიკული არ რჩებს ალამი,
ოქროსფერ ზღვაში მიცურავენ კომბაინები,
უკან დატოვა საქართველომ ცრემლი, ვარამი,
და მის ცა-ფიროუზს დღეს ამშვენებს დროშა დიდების.

უდაბურ ველზე აღმართულა ნორჩი რუსთაველი —
ველი ქცეულა შრომის კერად, ზღვად, ყვავილნარად.
იქ, სადაც იდგა სიცხის ბუდე სულშემხუთავი,
ფეთქავს სიცოცხლე ზღაპრულ ბაღის თანაზიარად.

თვალს იტაცებენ ჭენახები და ფაბრიკები —
ჯერ საქართველო არ ყოფილა ასე ლამაზი.
თხუთმეტ მოძმესთან გაიარა მან გზა დიდების,
და თავისუფალი შრომისა ისწავლა ფასი.

ბოროტსა სძლია... ქანთარია, ქართველი კაცი,
დღეს შრომაშიაც პირველია, რისხვა მტარვალთა,
მშობლიურ კერას დაუბრუნდა მებრძოლი მკაცრი,
რაიხსტაგზე რომ გამარჯვების დროშა აღმართა.

მე ქანთარია მომეგება ნათელი სახით,
ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა ვაუკაცურ მკერდზე...
მასში შევიცან ისტორია ქართველი ხალხის —
ქართველი ხალხის გამარჯვება თავგასულ მტერზე.

გერმანულიდან თარგმნა აკაკი ჭკადუაძ.

ეს არ იყო წინათ

„...მთელ რუსეთში ძნელად მოიპოვება მრეწველობის მეორე დარგი, სადაც ისე უყურადღებოდ იყოს დატოვებული მუშა ხალხის მდგომარეობა, როგორც ჭიათურისაა“... ვკითხულობთ 1900 წელს დაწერილ ერთ ოფიციალურ დოკუმენტში.

„...რომ იცოდეთ, სად ატარებენ ღამეებს ჭიათურელი მუშები ან როგორ იკვებებიან ისინი, რამდენ საათს მუშაობენ დღეღამეში, გაოცდებით. მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი მიწურები, რომლებიც ყველაფერს ჰგავს, გარდა ადამიანის სადგომისა. აი რაში ცხოვრობენ ჭიათურაში მომუშავენი! როცა უყურებ აქ ცხოვრებას, ძალაუნებურად გაიფიქრე, რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლად არსად არ უნდა აფასებდნენ, როგორც ჭიათურის მადნებში“..., წერდა 1902 წელს „კვალში“ ძველი რეგოლუციონერი ფ. მახარაძე.

მართლაც მძიმე და აუტანელი იყო ჭიათურელ მაღაროელთა ბედუკუღმართი წარსული. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ნამდვილი აღორძინება და მაღაროელთა კეთილდღეობისათვის ნამდვილი ზრუნვა მხოლოდ ჩვენს დროს დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გამოიცვალა მარგანეცის ქალაქი. განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა ომისშემდგომ პერიოდში. და ვისაც ათი წელია არ უნახავს ჭიათურა, მას ბევრი რამ გაუკვირდება, ბევრი რამ ეუცხოება.

უნაყოფოდ არ ჩაუვლია უკანასკნელ ორ წელსაც. მარგანეცის ქალაქში მშენებლების, ინჟინერ-ტექნიკოსების თავდადებული შრომით, საქალაქო საბჭოს დეპუტატების თაოსნობით აშენდა ბევრი ორსამ და ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნაგებობა. მარგანეცი უკვე ფართოლიანი დაგიანი რკინიგზის ეშელონებით მიდის და შორს აღარ არის ის დღე, როცა ელმავალი სახალხო მატარებელს შეაქროლებს ჭიათურაში.

ნინოწმინდის ქუჩაზე წინათ ძველი ბაზარი, ქოხმახები, სამჭედლოები და სამიკიტნოები იყო. სწორედ ამ ადგილზე ჭიათურელმა მშენებლებმა არქიტექტორ ზ. მინდორაშვილის პროექტით შარშან დაამთავრეს მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციული კორპუსი, რომელიც ჭიათურის სიამაყეა და ბევრ დიდ ქალაქსაც დაამშვენებდა. ამავე ქუჩაზე აიგო რამდენიმე ოთხსართულიანი საუცხოო შენობა. მიმდინარეობს აკ. წერეთლის ქუჩის მთლიანი რეკონსტრუქცია. აქ საძირკველი ეყრება ოთხსართულიან კაპიტალურ საცხოვრებელ სახლს. უკანასკნელი ორი წლის განძილზე ათობით კაპიტალური საცხოვრებელი სახლი აშენდა ლეჟავებისა და ფხალაძეების უბნებში. გასულ წელს საფუძველი ჩაეყარა პიონერთა სასახლის მშენებლობას.

საუცხოო შენობებმა დაამშვენა ლენინის სახელობის მაღარო. აქ გაშენდა ქალაქის ტიპის დასახლებული უბანი.

მართალია, შეაგვიანდა, მაგრამ წელს დამთავრდება მაღარო „ახალი ითხვისის“ მშენებლობა, რომლის სადღეღამისო წარმადობა 8.000 ტონა იქნება. ამის ბაზაზე მთავრდება მარგანეცის ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის მეორე რიგის მშენებლობა. იგი წლის მეორე ნახევარში მოგვცემს მარგანეცს. მშენებლობაზე რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი დაიხარჯა.

კიდევ უფრო შესანიშნავია ჭიათურის მომავალი. მარტო წელს მშენებლობებზე უნდა დაიხარჯოს 90 მილიონამდე მანეთი. საკმარისია ითქვას, რომ მეექვსე ხუთწლედში ჭიათურის მშენებლობებზე დაიხარჯება იმდენი თანხა, რაც დაიხარჯა მარგანეცის მრეწველობის არსებობის მთელ მანძილზე.

ჯ. ჭიოკაძე.



სურათზე: მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციული სახლი.
ფოტო ვ. ხარატიშვილისა.

თვითონ ქუჩაც ღალადებენ...

ქუჩა ეთქმოდა, თორემ განა მართლა ქუჩა იყო... იყო ქუჩა ფერდობისა, ქედისა, ლოტკინის ხევისა. ბევრსაც სულ არ ჰქონდა სახელი. და იყო ქუჩა, რომელსაც ერქვა „თვითნებური“.

ლაფში ამოგანგლული ეტლი ძლივს მირახრახებს „თვითნებურ“ ქუჩაზე. როგორც ეტყობა, მალაკნების ყოფილ ბაზართან, სადაც ეტლების თავშესაყარი იყო, დიდხანს ემუდარა მგზავრი მეეტლეს და ამ ქუჩისაკენ წაიყვანა. თორემ მეეტლეები არ თანხმდებოდნენ... როგორ წამოვიდეთ, ტალახში დავიხრჩობითო...

გზაზე ათასნაირი ხალხი ირევა: მეთოფლეები წყალს ეზიდებიან, მოჩანან სახედრების გამოყოლი მენახშირეები და მემაწნეები, კურტნიანი მუშები და თავზე თაბახდადგმული კინტოები. მთაც თავიანთი „წვლილი“ შეაქვთ ფეხებით ტალახის აზელვაში...

ეს ბევრისათვის ნაცნობი სურათია. ოცდათექვსმეტი წლის წინათ ასეთ სურათს წააწყდებოდით ყოფილ „ნაძალადევში“. შედარებით ახალგაზრდებს, ვისაც ეს სურათი წინათ არ უნახავთ, შეუძლიათ იგი ნახონ მხოლოდ თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

„სახლების ტეხილი ხაზები, რომლებიც გაყოფილია ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და ციცაბო ქუჩებით, თითქმის ერთმანეთის სახურავზეა... მტკვარი მიშხუთს ვიწრო კალაპოტში კლდეებს შორის, რომლებიც მას სრესენ, მრისხანების ქაფით აწყდება ნაპირებს, თითქოს იმუქრება დაანგრიოს და აღგავოს მათგან მძიმე და ჭუჭყიანი შენობები“.

ეს სიტყვები ეკუთვნის საბჭოთა ლიტერატურის მამამთავარს მაქსიმ გორკის, რომელიც 90-იან წლებში თბილისში ჩამოვიდა და „ნაძალადევში“, ამერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მუშაობდა. მაშინ ეს ერთადერთი ქარხანა იყო თბილისის ამ უბანში (ამჟამად სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა). მის ახლოს ნაძალადევად, მეფის მთავრობის ნება დაურთველად დასახლდნენ მუშები, რომლებიც ნესტიან სარდაფებში, პატარ-პატარა ბნელ ოთახებში ცხოვრობდნენ.

ძველი ქუჩები გაქრნენ, წავიდნენ. გაქრა „ნაძალადევიც“. მძიმე და ჭუჭყიანი შენობები, რომელთა შესახებ გორკი ლაპარაკობდა, მტკვარმა კი არა, თვითონ ადამიანებმა დაანგრიეს. მუშები სარდაფებიდან ამოვიდნენ, თავი დაადგნეს ქოხმახებს და მიწურებს. ისინი მზისაკენ მიისწრაფოდნენ. ეს მზე მათთვის ანათებს.

ძველი ცხოვრების კვალიც აღარ დარჩენილა. „ნაძალადევის“-ადგილას თბილისის უყველაზე დიდი სამრეწველო რაიონია, რომელიც სიამაყით ატარებს საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის დამაარსებლის გენიალური ლენინის უკვდავ სახელს.

და დაიბადნენ ახალი ქუჩები...

ქუჩა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციისა, ზაჰესისა და რიონჰესისა, მექანიზაციისა და ტრაქტორისა, სტახანოვისა და ტურბინისა, ხუთწლედისა და ძმობისა, საბჭოსი და „პრავდისა“...

თვითონ ქუჩებიც ღალადებენ დღევანდელი დღის გრანდიოზულობას. ეს სახელები ბევრ რამეს მოგვაგონებენ. ისინი გაგვახსენებენ კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციი ი ს წლებს, ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულ დაბა-ქალაქებს და სოფლებს, პირველი ტრაქტორის ავგუნებას საკოლმეურნეო ველებზე, დიდი ხუთწლედების მჩქეფარე დღეებს.

ყველაფერი, რაც ამ ქუჩებზე შესანიშნავია, შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. დღევანდელი ბედნიერი დღისათვის ცოტა სიხლი როდი დალვარეს თბილისელმა მუშებმა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სახელოვან ბრძოლებში იქედებოდა ეს დღეები. ლენინის რაიონის მშრომელები წმიდად ინახავენ დიად საბრძოლო ტრადიციებს.

ახალ ქუჩებზე გაჩნდნენ ახალი ქარხნები...

თუ წინათ ყოფილ „ნაძალადევში“ ერთადერთი ქარხანა ამერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები იყო, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ათობით საწარმო აშენდა: ჩარხმშენებელი, მანქანათმშენებელი, ავტომემკეთებელი, ფოლადთუჯსამსხმელო, ლითონკონსტრუქციების, კონიაკის, შუშის და სხვა ქარხნები, ავეჯისა და მუსიკალური ინსტრუმენტების, სართავ-სატრიკოტაჟო, აგურბეტონის და სხვა კომბინატები, ჩაის გადამწონი, ბამბის ძაფსართავი ფაბრიკები, საელექტრო დეპო... ჩამოთვლაც ზორს წაგვიყვანდა.

მწვანე ნარგავებით დამშვენებულ ქუჩებში ლადად დაჭრიან ტრამვაები, ავტობუსები, ავტომანქანები. დიდ პროსპექტს დაემგვანა ლენინის რაიონის ცენტრალური მაგისტრალი — საბჭოს ქუჩა. მის გაყოლებით თვალს იტაცებს მრავალსართულიანი შენობები, კეთილმოწყობილი მაღაზიები და სხვა საგანგებო დანიშნულებანი, ბიბლიოთეკები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ერთ-ერთი პირველი ნაგებობა იყო კინოთეატრი „განთიადი“. საბჭოთა საქართველოს ოცდამეთექვსმეტე წლისთავის წინ რაიონის მშრომელებმა კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — ღრმადელეში, სადაც წინათ გაუვალი ტყე იყო და მხოლოდ სანადირო დადიოდნენ, გიგანტურ საწარმოთა კორპუსების გვერდით გაიხსნა კინოთეატრი, რომელსაც სახელად „საქართველო“ უწოდეს.

ახალ საცხოვრებელ სახლებს აღარ იკითხავთ? რომელი ერთი ჩამოთვალოთ. სტალინის სახელობის ქარხანამ მრავალსართულიანი ხუთი დიდი საცხოვრებელი სახლი ააშენა, კიროვის სახელობის ქარხანამ — ექვსი, სართავსატრიკოტაჟო კომბინატმა — ხუთი, შამპანურის ქარხანამ — სამი, პლასტმასის ქარხანამ — ამდენივე. ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი სახლებისაგან მთელი დაბა წარმოიქმნა, ხოლო ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ტერიტორიაზე იმდენი საცხოვრებელი სახლია, რომ ამ დასახლებას ქალაქსაც კი უწოდებენ. ამ სახლებში, რომლებიც 30-50-ბინიანია, ცხოვრობენ რკინიგზელები და ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები, ფეიქრები და ლოკომოტივშემკეთებლები, ჩარხმშენებლები და მანქანათმშენებლები, ქვის დამმუშავებლები და მეგურეები...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რაიონში ერთი კერძო ექიმი მუშაობდა, ამჟამად კი სამასზე მეტი ექიმი და ხუთასამდე ექიმის თანაშემწეა. მუშაობს სამშობიარო სახლი და ტუბდისპანსერი, ხუთი პოლიკლინიკა, ტუბინსტიტუტი, ბავშვთა კონსულტაციები, სბავშვო ბაღები და ბაგები, საქარხნო პოლიკლინიკები და ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები. სტალინის სახელობის ქარხანასთან არსებობს მუშათა ღამის სანატორიუმი. თუ წინათ ორი კერძო სკოლა იყო, ახლა ჩვიდმეტი ხაშუალო სკოლაა, სადაც 14 ათასზე მეტი მოსწავლე ეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს.

* * *

აი საბჭოს ქუჩას სამოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცი მიჰყვება. სტალინის სახელობის ქარხნის ძველი მუშა, ამჟამად პენსიონერი გრიგოლ კირთაძე ხედავს ლამაზ, კეთილმოწყობილ ქუჩებს, რომლებიც ადამიანებს მოგაგონებენ ჩვენს წინსვლასა და გამარჯვებას. იგი ხედავს მშობლიურ საწარმოთა უზარმაზარ კორპუსებს, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს. ძველი მუშა ფიქრობს: რა მიმზიდველი, რა ლამაზია ჩვენი ცხოვრება!

ქარხანაში რამდენიმე ათეული წელი იმუშავა გ. კირთაძემ. იგი სწორედ იმ წელს დაიბადა, როცა ეს ქარხანა ამუშავდა — 1888 წელს. — მე ჩემი ქარხნის ლოლი ვარ, — ამბობენ ცხადებს გრიგოლი, — მასთან ერთად გავიარე ცხოვრების სკოლა. გაზაფხულის პირველ ნაკადულს მგავდნენ მუშათა ის პირველი მარქსისტული წრეები, რომლებიც აქ ცხრაასიან წლებში შეიქმნა ახალგაზრდა ი. ბ. სტალინისა და საქართველოში გადმოსახლებული რუსი რევოლუციონერების ხელმძღვანელობით. თბილისელი მუშები ვიბრძოდით თავისუფალი, ნათელი ცხოვრებისათვის. ამისათვის ჩვენთან ერთად იბრძოდნენ ხარაგი მიხეილ კალინინი და მღებავი ალექსი პეშკოვი, დიდი რუსი ხალხის ითობით საუკეთესო შვილი, რომლებიც შემდეგ მთელ მსოფლიოში ცნობილი ადამიანები გახდნენ. ეს ცხოვრება ჩვენ მოვიპოვეთ. შეიძლება ითქვას, იგი ჩვენ



თვითონ გამოვეკიდეთ საკუთარი მუშური მარჯვენით.

ჭკითხეთ გ. კირთაძეს — როგორი იყო მათი მუშაობის პირობები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და იგი დაგიხსურათებთ, რა არაადამიანურ ჯაფასა და გაჭირვებაში, ჩაგვრასა და დამცირებაში მიდიოდნენ მაშინ დღეები. მუშა რომ ავად გამხდარიყო, სამუშაოდან დათხოვნის შიში ემუქრებოდა, ან გინ აუნაზღაურებდა ხელფასს! ზეინკლის თვიური ხელფასი 40-45 მანეთს უდრიდა, ახლა კი 1.600 მანეთს აღემატება. ძველი მუშები, რომლებიც ქარხანაში აღარ მუშაობენ, სახელმწიფომ უზრუნველყო პენსიით. მარტო შარშან პენსიების სახით რაიონის მშრომელებმა 18 მილიონამდე მანეთი მიიღეს. წელს ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ პენსიების თანხამ საგრძნობლად იმატა.

— როგორ არ უნდა გიხაროდეს, როცა უყურებ ამ ცხოვრების ნათელ სურათებს, — გვიზიარებს თავის განცდებს პენსიონერი მუშა.— ჩვენს ქვეყანაში სიხარული ყველას კუთვნილებაა. იგი ჩვენი ოჯახის კუთვნილებაც არის. რევოლუციამდე საკუთარი ბინა არა მქონდა, ლოტკინის მთასთან ერთი ნათესავის მიწურ ქოხში ვიყავი შეკედლებული. ახლა ორსართულიანი ლამაზი სახლი მაქვს. ჩემი შვილი ნიკოლოზი ინჟინერ-მექანიკოსია. მის ცოლშვილთან ერთად ბედნიერად ვცხოვრობ. ქარხანასთან კავშირი არც ახლა გამიწყვეტია. ახლაც საჭირო და გამოსადეგ კაცად მთვლიან. რა სიამაყეს განვიცდი ხოლმე, როცა ქარხნიდან მომაკითხავენ... მე მაშინ ვფიქრობ: მშობლიური ქარხანა მიხმობს, მეძახის. დაუყოვნებლივ გავეშურები იქ და საზეინკლო სამუშაოს ვასრულებ. ფულის? აბა, ამაში ფულს როგორ გამოვართმევ ქარხანას, იგი ხომ ჩემი მეორე ოჯახია. საქმე ის არის, რომ შრომა მოთხოვნილებად მაქვს გადაქცეული და უიმისოდ ვერ ვძლებ. ქარხანა განა მართლა ვერ იმუშავებს უჩემოდ, ისეთი რა უნდა გავუკეთო, მაგრამ იგი რომ არ მივიწყებს, — აი ეს არის მთავარი...

ქარხანა მეორე ოჯახია! — ძველი მუშის ეს სიტყვები მრავლისმთქმელია. ამ შეგნებით შრომობს ლენინის რაიონის მრავალი სახელოვანი ადამიანი. აქ ბევრია ისეთი მუშა, რომლებიც შრომამ აამაღლა, საქვეყნოდ ცნობილი გახადა. მთელი რესპუბლიკა იცნობს მოწინავე მუშებს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მეედლებს — კონსტანტინე ილურიძეს და ვასილ კორძაძეს, ხარატებს ილია ჭუმბურიძეს და პავლე ზუბრიცკას, ზეინკალ ბ. ხმიადაშვილს და მექვანე ი. ბაბაიევს. ისინი ამაყობენ იმით, რომ კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში დგანან, რომ მათს ამაგს აფასებენ პარტია, ხამშობლო, ხალხი...

...სალამოა. ახალგაზრდა მუშები მხიარული სიმღერით მიიჩქარიან ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ლამაზი საცხოვრებელი სახლებისაკენ. — ნათელ მომავალს ბრძოლებში ეედდნენ სახელოვანი ჩვენი მამები — მღერიან ისინი. სახლში მისვლისას დიდხანს არ წვებიან დასაძინებლად, წითელ კუთხეში გროვდებიან, ბევრ საინტერესო ამბავზე ბაასობენ, გონების თვალს ავლებენ წარსულსა და აწმყოს. ამ საცხოვრებელი სახლების ფანჯრებიდან კარგად მოჩანს მთელი ლენინის რაიონი, გიგანტური საწარმოები და გაჩირაღდნებული ქუჩები. აქედან, როგორც ხელის გულზე, ჩანს ჩვენი დიადი ცხოვრება თავისი შესანიშნავი აწმყოთი და ნათელი პერსპექტივებით...

ს. არღუნელი.

* * *

სურათებზე: ზემოთ—თბილისის ლენინის რაიონის მუშათა საცხოვრებელი სახლები ავჭალის გზატკეცილზე. ქვემოთ — რევოლუციამდელი „ნაძალადევის“ ერთ-ერთი ქუჩა.

ციტრუსოვანთა და სხვ. დამზადების გეგმები.

წარმატებანი, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მოიპოვეს, შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ პარტია და მთავრობა უდიდეს ზრუნვას იჩენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და მუდმივ დახმარებას უწევენ მას. საქართველოს მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები აღჭურვილი არიან უაღრესად მოწინავე ტექნიკით. რესპუბლიკაში მუშაობს 8,5 ათასამდე ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 1.100-მდე კომბაინი, მრავალი ათასი სატვირთო ავტომობილი და სხვა ტექნიკა.

დიდი მუშაობა წარმოებს სარწყავი სისტემების მშენებლობის, დაჭაობებული მიწების მასივების ამოშრობის ხაზით.

ამასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ მთავრობა იღებს ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და არის ყველა საფუძველი იმისათვის, რომ, მივაღწევთ რა ამას უახლოეს ხანში, უფრო განვავითარებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ძვირფას და რენტაბელურ დარგებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი, გავაუმჯობესოთ კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობა, შევიტანოთ წვლილი კვების პროდუქტებით მოსახლეობისა და ნედლეულით მრეწველობის უზრუნველყოფის საქმეში.

* * *

საქართველოს სახალხო მეურნეობის უდიდეს განვითარებას მოწმობს კაპიტალურდაბანდებათა ოდენობა. 1933 წლიდან 1955 წლამდე საქართველოს სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრებით (1955 წლის 1 ივლისიდან შემოღებული ფასებით) დაბანდებული იყო 23 მილიარდი მანეთი, აქედან 1946-1955 წლებში დაახლოებით 16 მილიარდი მანეთი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას. მაგალითად, საბინაო მშენებლობაში კაპიტალურდაბანდებათა ოდენობამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში — 1921-დან 1955 წლამდე — 3 მილიარდ მანეთს მიაღწია, აქედან მარტო მეხუთე ხუთწლედში — 1,3 მილიარდ მანეთს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში — 1921-დან 1955 წლამდე — საქართველოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 4,4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, აქედან მარტო მეხუთე ხუთწლედში — 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი.

დიდი გაქანება მიიღო ინდივიდუალური სახლების მშენებლობამ, რომლებსაც მოქალაქეები აშენებენ საკუთარი დანაზოგით და სახელმწიფოს დახმარებით. მარტო ორ ომისშემდგომ ხუთწლედში რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ინდივიდუალურმა მენაშენეებმა ააგეს ერთ მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, სოფელ ადგილებში 1921-1955 წლებში აშენებულია 319 ათასი სახლი.

უდიდესი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მათი კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის განვითარების დარგში, ახალი სკოლების, საავადმყოფოების, აბანოების, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების მშენებლობის, თეატრებისა და კინოთეატრების, კლუბებისა და სამკითხველოების მშენებლობის დარგში.

1957 წელს დიდი ღონისძიებებია დასახული კაპიტალურ მშენებლობაში, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობაში.

* * *

საქართველოში — უძველესი კულტურის ქვეყანაში, რომელსაც მდიდარი კულტურული ტრადიციები აქვს, უდიდესი მუშაობა წარმოებს ხალხის კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

მთელი რესპუბლიკა დაფარულია სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხშირი ქსელით.

საქართველოში მუშაობს 4.500-ზე მეტი დაწყებითი, შვიდწლიანი, საშუალო სკოლა, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და მოზრდილთა სკოლა, რომლებშიც სწავლობს 704 ათასზე მეტი კაცი. რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელსა და 105 ტექნიკუმში სწავლობს 68 ათასზე მეტი სტუდენტი.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რესპუბლიკის ათობით სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. საქართველოში მეცნიერული აზრის ცენტრია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. 1956 წელს რესპუბლიკაში მუშაობდა 5.667 მეცნიერი მუშაკი, აქედან მეცნიერებათა დოქტორია 357 კაცი და მეცნიერებათა კანდიდატი — 2.556.

რესპუბლიკაში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე მოდის 18 კაცი უმაღლესი და 14 კაცი საშუალო სპეციალური განათლებით.

სულ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 95 ათასზე მეტი სპეციალისტი, ხოლო ტექნიკუმებმა 150 ათასი კაცი საშუალო სპეციალური განათლებით.

მუშათა კადრების მომზადებაში დიდ მუშაობას ეწევიან შრომითი რეზერვების სკოლები, რომლებიც მრეწველობისათვის, მშენებლობებისათვის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობისათვის ყოველწლიურად ათასობით კვალიფიციურ მუშას უშვებენ.

უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებანი ხორციელდება ჩვენში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში იყო მხოლოდ 461 ექიმი, ახლა მრავალ ასეულ სამკურნალო-სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობს 11.770-ზე მეტი ექიმი. რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე თითქმის სამი ექიმი მოდის.

საქართველოს სახელგანთქმულ კურორტებზე: წყალტუბოში, ბორჯომში, აბასთუმანში, გაგრაში, სოხუმში და ბევრ სხვა კურორტზე ყოველწლიურად ისვენებს ასეულ ათასობით ადამიანი, რომლებიც ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ჩამოდიან.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავი დაემთხვა პერიოდს, როცა ქართველი ხალხი დიდი აღფრთოვანებით ემზადება რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

მომავალი არჩევნები იქნება საბჭოთა ნამდვილად სახალხო დემოკრატიის, ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე მის დიდ უპირატესობათა ახალი მკაფიო გამოვლინება. ჩვენს რესპუბლიკაში საარჩევნო კამპანიის გაქანებასა და საბჭოთა კავშირში არჩევნების ნამდვილ დემოკრატიულობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, იმის მიხედვით, რომ არჩევნებისათვის მზადების მუშაობაში მონაწილეობას იღებს 200 ათასზე მეტი კაცი.

ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საქართველოს მშრომელები ახალ მაღალვალდებულებებს კისრულობენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს, ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის გეგმები.

თვალს ავლებენ რა 36 წელიწადში განვლილ გზას, საქართველოს მშრომელები ხედავენ თავიანთი შემოქმედებითი შრომის ნაყოფს, ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის დიად ძალას, პარტიის ზრუნვას მოკავშირე რესპუბლიკების აყვავებისათვის.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მთელი მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი ხალხი, ჩაბმულია მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში, ესწრაფვის მშვიდობას, გამსჭვალულია მისწრაფებით საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად საკადრისი პასუხი გასცეს ყვავილას, ვინც შეეცდება დაარღვიოს ეს მშვიდობიანი შრომა.

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური დახმარებით კვლავაც განუხრელად ივლის წინ კომუნიზმის გზით საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

სამგორის წყალსადენი

ამუშავდა სამგორის წყალსადენის პირველი რიგი. იგი თბილისის მოსახლეობას მიაწვდის ივრის წყალს, რომელიც ქიმიურ-ფიზიკური თვისებებით არ ჩამოუვარდება ნატახტარისა და ბულაჩაურის წყალს. სამგორის წყალსადენის ჩართვა ქალაქის ქსელში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის მოსახლეობის წყლით მომარაგებას, განსაკუთრებით ზაფხულში.

დიდი მუშაობა შეასრულეს მშენებლებმა. მოკლე ვადაში აშენდა გასამჯნი კამერა, სატუმბავი სადგური, რეზერვუარი, შენობა ფილტრებისათვის. გაყვანილ იქნა დაახლოებით 7 კილომეტრი წყალსადენარი. ამ წყალსადენზე რესპუბლიკაში პირველად დაიდგა გაუმჯობესებული ფილტრები, რომლებიც ბევრად აჩქარებენ ფილტრაციის პროცესს.

1956 წელს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ქალაქის მომარაგება წყლით. მაგალითად, გრუნტის წყლების ხელოვნური გამდიდრებით ბულაჩაურის წყალსადენის სიმძლავრე წამში 500 ლიტრით გადიდდა. გამოყენებულია აგრეთვე ნატახტარის წყაროების ნარჩენები. მათს ბაზაზე ამუშავდა წამში 400 ლიტრი სიმძლავრის ახალი წყალსადენი. (ბაქდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

21 თებერვლის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი. (საკუთრივ). გენერალური ასამბლეის პლენარულმა სხდომამ გუშინ დაამტკიცა მესამე (სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა), მეხუთე (ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა) და მეექვსე (სამართლის საკითხთა) კომიტეტების მოხსენებები და რეზოლუციები. მათ შორის დამტკიცებულია კულტურისა და მეცნიერების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ რეზოლუციის პროექტი, რომელიც ჩეხოსლოვაკიამ წარადგინა მესამე კომიტეტში. რეზოლუცია მოუწოდებს „ყველა სახელმწიფოს ხელი შეუწყონ ურთიერთ შეთანხმებათა გზით და სხვა სამუალებებით უფრო ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას კულტურისა და მეცნიერების დარგში და ყოველ ღონე იხმარონ ამ მშვიდობისმოყვარული მიზნების განსახორციელებლად“. რეზოლუცია აგრეთვე „წინადადებით მიმართავს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს შეიტანონ თავიანთ წლიურ მოხსენებებში ეკონომიური და სოციალური საბჭოსადმი თავიანთი შეხედულებანი და ანგარიში საერთაშორისო კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის დარგში მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე მიმართავს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს ამ ცნობებს“.

გენერალურმა ასამბლეამ აგრეთვე დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კომისიაში ამ მოხსენების განხილვის დროს საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა გაუქმებულად ჩაეთვალოთ ჩანკაიშელის რწმუნებანი. საბჭოთა დელეგაცია აგრეთვე წინააღმდეგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებისა იმის შესახებ, „რომ კომისიას არ მიეღო გადაწყვეტილება იმ რწმუნებებზე, რომლებიც წარდგენილ იქნა უნგრეთის წარმომადგენელთა სახელით“.

ამ მოხსენებისათვის კენჭისყრის დროს გამოვადა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი. მან გენერალური ასამბლეის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია გაეთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის გადაჭრა.

საბჭოთა დელეგაციის აზრით, თქვა ა. ა. სობოლევმა, პირველი და მართებული ნაბიჯი ამ მხრივ ის იქნება, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს გადაწყვეტილება გომინდანის წარმომადგენელთა რწმუნებების უარყოფის შესახებ, წარმომადგენლებისა, რომლებსაც არა აქვთ არც პოლიტიკური, არც იურიდიული, არც მორალური უფლება ეკავოთ ჩინეთის ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. რაც შეეხება უნგრეთის დელეგაციის რწმუნებებს, საბჭოთა კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგია გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებისა, რომელიც შთაგონებულია შეერთებული შტატების მიერ და რომელიც საეჭვოდ ხდის იმ რწმუნებათა სანამდვილეს, რომლებიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას მისცა მისმა კანონიერმა რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ.

ილაპარაკა რა იმაზე, რომ მთელ რიგ დელეგაციებს არაერთგზის უცდიათ გამოეყენებინათ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში პირდაპირი ჩარევისათვის, ა. ა. სობოლევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთის დელეგაციის რწმუნებათა საკითხის დაყენების ინიციატორებს, ცხადია, იმედი ქქვთ, რომ უნგრეთის დელეგაციისათვის სახელის გატეხის ცდები საშუალებას მისცემს მათ გააჩაღონ ახალი აღვირახსნილი ცილისმწამებლური კამპანია სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის წინააღმდეგ და ხელს შეუწყობს რეაქციული ძალების აქტივიზაციას როგორც უნგრეთში, ისე უნგრეთის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას, თქვა დასასრულ ა. ა. სობოლევმა, მიაჩნია, რომ სამანდატო კომისიის დადგენილება — არ იქნას მიღებული გადაწყვეტილება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის რწმუნებათა შესახებ, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებსა და გენერალური ასამბლეის პროცედურის წესებს.

ჩანკაიშელთა ჯგუფის წარმომადგენლის რწმუნებათა აღიარების წინააღმდეგ და ამერიკის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ „არ განიხილონ საკითხი“ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის რწმუნებათა შესახებ, გამოვიდნენ აგრეთვე ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიის, ეგვიპტის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

კერძოდ, ინდოეთის წარმომადგენელმა ნატარაჯანმა განაცხადა, რომ ინდოეთი ამტკიცებდა და კვლავაც ამტკიცებს, რომ ჩინეთის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი უნდა იყოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი და მან უნდა დიკავოს ჩინეთის ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ნატარაჯანმა აგრეთვე თქვა, რომ მისი დელეგაცია ვერ ხედავს რაიმე საფუძველს უნგრეთის დელეგაციის რწმუნებათა საკითხის დასმისათვის.

უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ბუდაპეშტი, 22 თებერვალი. (საკუთრივ). უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნგრეთის რადიოსათვის გააკეთა განცხადება უნგრეთ-ავსტრიის ურთიერთობის შესახებ. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, ისწრაფვის მეზობელ ავსტრიის რესპუბლიკასთან დაამყაროს ისეთი კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელიც შეესაბამება ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის ძირითად პრინციპებს და სამსახურს გაუწევს ორივე ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ავსტრია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავის ურთიერთობაში ხელმძღვანელობდეს ზემოხსენებული პრინციპებით. ავსტრიის ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა ჯერ კიდევ უნგრეთის კონტრრევოლუციურ ამბებამდე დაუშვეს ავსტრიის ტერიტორიაზე პროპაგანდა, რაც არღვევდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესებს. უნგრეთის საზოგადოებრივი განვითარება ამ პროპაგანდაში წარმოდგენილი იყო არაკეთილსასურველად და მტრულად, და ბევრ შემთხვევაში პროპაგანდა შეიცავდა ცილისწამებას უნგრეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ წყობილებაზე. უნგრეთში კონტრრევოლუციის გამოსვლის პერიოდში ეს პროპაგანდა მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ავსტრიის გარკვეული წრეები აქტიურად უჭერდნენ მხარს უნგრეთ-ავსტრიის საზღვრიდან შემოგზავნილ ჯაშუშებსა და ავანტიურისტებს, რომლებსაც ჰქონდათ საიდუმლო დავალებანი სახელმწიფო წყობილების დამხობისა და სისხლსღვრის მოწყობის შესახებ, და ნიღბავდნენ მათს საქმიანობას.

იარაღი და საომარი მასალა კონტრრევოლუციის დღეებში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა შემოეტანათ უნგრეთში ავსტრიის ტერიტორიიდან, თუ არ იქნებოდა ავსტრიის ხელისუფალთა თანხმობა. ეს ფაქტები შეუთავსებელია ნეიტრალიტეტის ცნებასთან და ეჭვს იწვევს ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის გულწრფელი განზრახვების მიმართ.

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ ავსტრიის მთავრობა არ სცემს პატივს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებებსა და ინტერესებს. ამას მოწმობს, მაგალითად, ავსტრიაში გაქცეულ უნგრელ ბავშვთა რეპატრიაციის საკითხის გადაჭრა.

რაც შეეხება კანცლერ რააბის 20 იანვრის გამოსვლას რადიოთი, იგი იყო პირდაპირი ნერწყვა უნგრეთის საშინაო საქმეებში, რადგან კანცლერმა რააბმა შეიტანა წინადადება შეიცვალოს უნგრეთის საერთაშორისო სტატუსი.

მოყვანილი ფაქტები, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, აშკარად ამტკიცებენ, რომ ავსტრიის მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ უნგრეთ-ავსტრიის ურთიერთობა განსაკუთრებით ბოლო დროს არ შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპებს.

ითვალისწინებს რა უნგრელ და ავსტრიელ ხალხებს შორის დიდი ხნის ურთიერთობას, უნგრეთის მთავრობა კვლავაც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უნგრეთისა და ავსტრიის ურთიერთობა შეესაბამებოდეს ამ პრინციპებს. მაგრამ იგი მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფო, მათ შორის ავსტრიის რესპუბლიკაც, პატივს სცემდეს ამ პრინციპებს. ყველა ამის საწინააღმდეგო მისწრაფებასა და ცდას აშკარა და მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევენ უნგრეთის საზოგადოებრივი აზრი და უნგრეთის მთავრობა.

ისრაელი კვლავ უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს

პრემიერ-მინისტრ ბენ-ჰურიონის გამოსვლა პარლამენტში

იერუსალიმი, 22 თებერვალი. (საკუთრივ). გუშინ საღამოს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენ-ჰურიონი პარლამენტში გამოვიდა მთავრობის დეკლარაციით. ეს იყო პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის გამოსვლაზე რადიოთი და მის პირად წერილზე ბენ-ჰურიონისადმი. პრემიერ-მინისტრის გამოსვლას წინ უძღოდა მთავრობის ორი სხდომა.

როგორც ისრაელის მთავრობის დეკლარაციიდან შეიძლება დავასკვნათ, მას არ მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლა კატეგორიულად მოითხოვს შეიცვალოს ისრაელის პოზიცია, რომელიც უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნას ეგვიპტის ტერიტორიიდან—ღაზისა და შარმ აშ-შეიხის რაიონებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ.

ბენ-ჰურიონმა დამსწრეთ აგრძნობინა, რომ იგი უარყოფს ეგვიპტის უფლებას ღაზის რაიონზე. ამავე დროს იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისრაელი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (რომლის მოთხოვნას იგი ფეხქვეშ თელავს) და აშკარად კეთილსასურველ დამოკიდებულებას იჩენს ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებისადმი იკისრონ არბიტრის როლი ამ საკითხში.

შარმ აშ-შეიხიდან ისრაელის ჯარების გაყვანის პირობად ბენ-ჰურიონმა მოითხოვა იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების განლაგება. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობას „წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია შეერთებული შტატების მზადყოფნა გაგზავნონ თავიანთი ხომალდები“ აქაბის ყურეში (ე. ი. შარმ აშ-შეიხის რაიონში).

რაც შეეხება ისრაელის ჯარების მიერ ოკუპირებულ ეგვიპტის ღაზის რაიონს, ბენ-ჰურიონმა გულახდილად განაცხადა, რომ ისრაელის ჯარების გაყვანას იგი განაპირობებს „შესაბამისი შეთანხმებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან“, რომელიც უზრუნველყოფს ისრაელის დამპყრობლურ ინტერესებს ეგვიპტის ინტერესების საზიანოდ. ისრაელს, განაცხადა ბენ-ჰურიონმა, პირობა უნდა მისცენ, რომ ეგვიპტე „არ დაბრუნდება ამ რაიონში პირდაპირ ან არაპირდაპირ...“.

ამრიგად, ისრაელს სურს მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ეგვიპტის ორი რაიონის ბედის გადაწყვეტაში ეგვიპტის ზურგს უკან.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ისრაელის მთავრობამ გადაწყვიტა „მიიღოს შემდგომი ღონისძიებანი, რათა მიაღწიოს შეთანხმებას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან“, ბენ-ჰურიონმა განაცხადა, რომ ისრაელის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ებანი, რომელიც ვაშინგტონში ბრუნდება, „გააცნობს ამერიკის მთავრობას ისრაელის მთავრობის პოზიციას“.

სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობისათვის

წარმატებით დამთავრებული სავაჭრო მოლაპარაკების შედეგად ამა წლის 20 თებერვალს ბერლინში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეთანხმებას 1957 წელს საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ.

იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების ამა წლის 7 იანვრის ერთობლივ განცხადებაში, სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვა 1957 წელს დიდდება დაახლოებით 30 პროცენტით 1956 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი ადიდებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ქვანახშირის, რკინისა და მარგანეცის მადნის, შავი ლითონების ნაგლინის, ნავთობის, დახერხილი მასალების, მარცვლეულის, ხორცის, ცხოველური და მცენარეული ცხიმებისა და სხვა იმ საქონლის მიწოდებას, რაც საჭიროა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირს მიაწვდის ნაგლინს, საამწეთ-სატრანსპორტო, სამეცდლო-საწნეხე და სხვა მოწყობილობას, საზღვაო და სამდინარო გემებს, რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას, ქიმიური მრეწველობის პროდუქციასა და სხვა საქონელს.

შეთანხმებას ხელს აწერენ: სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. გ. შმაკოვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით — საგარეო ვაჭრობისა და სრულიად გერმანიის შინავაჭრობის მინისტრი გ. რაუ.

ლიბანის მთავრობას გადაეცა საბჭოთა ნოტა

ბეირუთი, 22 თებერვალი. (საკუთრივ). სსრ კავშირის ელჩმა ლიბანში ს. პ. კიკტევმა გუშინ ლიბანის პრემიერ-მინისტრს სამი სოლჰს, რომელიც დროებით ასრულებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას, გადასცა ბეირუთში საბჭოთა საელჩოს ნოტა, რომელსაც დართული აქვს პირი საბჭოთა მთავრობის 11 თებერვლის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი და პროექტი: „ძირითადი პრინციპები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა დეკლარაციისა ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების და ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე“.

საბჭოთა კავშირის ელჩმა სთხოვა სამი სოლჰს გააცნოს ამ ნოტის შინაარსი ლიბანის მთავრობას. სამი სოლჰმა განაცხადა, რომ ლიბანის მინისტრთა საბჭო განიხილავს ნოტის შინაარსს თავის 22 თებერვლის სხდომაზე.

ნერუს გამოსვლა

დელი, 22 თებერვალი. (საკუთრივ). გამოვიდა რა გუშინ მიტინგზე აკოლაში (ნაგპურის მახლობლად), ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთი არ მისცემს ნებას არც ერთ უცხოელ ჯარისკაცს ფეხი შედგას მის ტერიტორიაზე.

ნერუმ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა უშიშროების საბჭოში ხმა მისცა ოთხი ქვეყნის რეზოლუციის წინააღმდეგ, ზოგიერთმა სახელმწიფომ კვლავ შეიტანა რეზოლუცია რამდენადმე შეცვლილი ფორმით. პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობები ცდილობენ განახორციელონ ისეთი ტაქტიკა, რომელიც შინაგანად შეასუსტებდა ინდოეთს, როგორც ამას აკეთებდა ინგლისი ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, როდესაც ბრიტანელი იმპერიალისტები ცდილობდნენ გაეთიშათ ჩვენი ხალხი და მტრობა დაეთესათ ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის. ნერუმ განაცხადა, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს მოქმედება ინდოეთის მიმართ გამოწვეულია მათი მტრული დამოკიდებულებით ინდოელი ხალხისადმი. ამ სახელმწიფოებს არ მოსწონთ ინდოეთის დამოუკიდებელი პოლიტიკა. მაგრამ ინდოეთი განაგრძობს ამ პოლიტიკას. „ჩვენ, — თქვა ნერუმ, — არ ვაბირებთ ფუღში გავცვალოთ ჩვენი დამოუკიდებელი პოლიტიკა“.

მდგომარეობა ალჟირში

პარიზი, 22 თებერვალი. (საკუთრივ). საფრანგეთის კოლონიური ხელისუფალნი განაგრძობენ ალჟირელი პატრიოტებისათვის გამოტანილ სიკვდილის განაჩენთა სისრულეში მოყვანას. გუშინ დილით კონსტანტინაში სიკვდილით დასჯეს კიდევ ორი ალჟირელი. ალჟირელ პატრიოტთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მტკიცედ გამოდის საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა.

სენის დეპარტამენტის სახალხო დახმარების საზოგადოების ფედერაციამ მშრომელებს მიმართა მოწოდებით გაუგზავნონ რესპუბლიკის პრეზიდენტს წერილები და დეპეშები და მოითხოვენ შეწყდეს სიკვდილით დასჯის განაჩენების სისრულეში მოყვანა. ანალოგიური განცხადება გააკეთა „ჩრდილოეთ აფრიკის პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა“. ორივე ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ალჟირელთა სიკვდილით დასჯამ შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს მტრობა ალჟირის არაბ და ევროპელ მოსახლეობას შორის.

როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, ალჟირში გრძელდება გაფფრენული ბრძოლები ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის. გუშინ იმ შეტაკებათა შედეგად, რომლებიც მოხდა კონსტანტინისა და ორანის დეპარტამენტებში, ალჟირელთა შორის არის ათობით მოკლული. საფრანგეთის ჯარების დანაკლისზე არაფერს იუწყებიან.

ზესტაფონი წინათ და ახლა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ზესტაფონი (ყვირილა) წარმოადგენდა დაბას ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩებით, ქოხმახებით და სამიკიტნოებით. დაბაში არ ყოფილა არც ერთი სამრეწველო საწარმო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება და საავადმყოფო.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით დაბა ზესტაფონი ერთ-ერთ თვალსაჩინო სამრეწველო ქალაქად გადაიქცა. აშენდა ფეროშენადნობთა ქარხანა, აგურის და ღვინის ქარხნები, პურის საცხობი კომბინატი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც უხვად აწვდიან ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა სახის პროდუქციას.

ქალაქ ზესტაფონში აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, გამწვანდა და მოასფალტდა ქუჩები, ფართო მოედნები, გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი, უყვავილებით მოხატული სკვერები და გაზონები.



მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება საავადმყოფო, პოლიკლინიკები და ამბულატორიები. ქალაქის მშრომელთა სამსახურშია საშუალო სკოლები, ტექნიკუმები, კინოთეატრები, კლუბები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები. ქალაქში დასრიალებენ ავტობუსები, „პობედისა“ და „ზიმის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანები.

ამჟამად მშენებლები თავდადებით მუშაობენ საწარმოების, საყოფაცხოვრებო კომბინატების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობებზე. წელს ახალ მშენებლობებზე 30 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა 54-ბინიანი და 27-ბინიანი საცხოვრებელი სახლები. დაიწყება 56-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, მეტალურგთა კულტურის სახლის, შამპანკომბინატის ზესტაფონის № 2 ღვინის ქარხნის, საელმავლო დეპოს და სხვ. მშენებლობა.

ზესტაფონელებს უყვართ თავიანთი ქალაქი, ამაყობენ მისი მიღწევებით და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო ლამაზი, მიმზიდველი და კეთილმოწყობილი იყოს.

გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ქ. ზესტაფონი დღეს — ლენინის სახელობის ქუჩა. ქვემოთ — იგივე ქუჩა 1921 წელს.

ფოტო ნ. გობრონიძისა.

რუსთაველის პროსპექტის გამშვენიერება

დღითიდღე სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. ამჟამად მიმდინარეობს რუსთაველის პროსპექტის გამშვენიერება-რეკონსტრუქცია მთავრობის სახლსა და კავშირგამბმულობის სახლს შუა, პირველი საშუალო სკოლის წინ. აქ აღებულ იქნა უნივერმაღის ერთსართულიანი შენობა, რომელსაც დისონანსი შეჰქონდა პროსპექტის არქიტექტურულ ანსამბლში.

არქიტექტორების მ. მელიასა და ი. ჩხენკელის პროექტით აქ 3.800 კვადრატულ მეტრზე გაშენდება ლამაზი სკვერი, სადაც დაირგვება ყვავილები, სუბტროპიკული და ადგილობრივი ჯიშის მცენარეები. სკვერის წინ უკვე იგება 7 მეტრი სიგანის ტროტუარი, რომელიც ჭადრაკისებურად მოპირკეთდება ბაზალტის ქვით. ამ ტროტუარის ზემოთ თითქმის 1.500 კვადრატულ მეტრზე ეწყობა გაზონები, კეთდება პატარა მოედანი, რომელზეც დაიდგმება დიდი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლები. ამ ძეგლებისაკენ სამი მხრიდან ავა კიბეები. ერთი მათგანი — შუა კიბე ტროტუარს შეაერთებს მოედანთან და სკვერთან. მომდინარეობს აგრეთვე პირველი საშუალო სკოლის შენობის ფასადის განახლება-გალამაზება.

მომავალი სკვერის პირდაპირ რუსთაველის პროსპექტზე ათას ას კვადრატულ მეტრზე დაიგება ბაზალტის ქვის ტროტუარი. უკვე დაიწყო სამუშაოები სასტუმრო „ინტურისტის“ წინ ახალი ტროტუარის გასაკეთებლად.

აღნიშნული სამუშაოები დამთავრდება პირველი მაისისათვის. რუსთაველის პროსპექტის ეს კუთხე ერთ-ერთი ულამაზესი იქნება დედაქალაქში.

ახალი აბანო



თბილისის ლენინის რაიონის მშრომელებმა კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიიღეს. ამას წინათ ავჭალის გზატკეცილზე, შამპანური კომბინატის გვერდით, № 11 მარშრუტის ტრამვაის უკანასკნელ გაჩერებასთან, გაიხსნა ახალი კომფორტაბელურად მოწყობილი აბანო, რომელიც საათში 60 კაცს ატარებს. მას აქვს 11 ნომერი და ორი საერთო განყოფილება.

უახლოეს ხანებში აქ ამუშავდება აგრეთვე მექანიკური სამრეცხაო, რომელიც მომსახურებას გაუწევს როგორც თვით აბანოს, ისე სხვა ორგანიზაციებს.

სურათზე: ახალი აბანო (№ 12) ავჭალის გზატკეცილზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

სამეცნიერო სესია

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერევნისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტების მონაწილეობით მიმდინარე წლის 26-27 თებერვალს საკქმო დარბაზში აწყობს სამეცნიერო სესიას თემაზე: „ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“.

პირველი სხდომა შედგება 26 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. შესავალ სიტყვას წარმოთქვამს უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუპრაძე. მოსმენილ იქნება მოხსენებები: თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში და ამიერკავკასიის ხალხები — პროფესორი გ. ხაჭაპურიძე; ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ 1724-1727 წლებში. — პროფესორი ა. აბრამიანი; სოციალიზმის გამარჯვება ამიერკავკასიაში და ხალხთა მეგობრობის ურყევი საფუძვლის შექმნა — პროფესორი ა. კოკორეკი.

მეორე სხდომა შედგება 27 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. მოსმენილ იქნება მოხსენებები: აზერბაიჯანელი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ — მეცნიერებათა კანდიდატი მ. მირგადიევი; ამიერკავკასიის ხალხთა ძმური ურთიერთობის ისტორიიდან (ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის შექმნის საკითხისათვის) — დოცენტი კ. წერეთელი; „სომხეთზე მანდატის“ ამერიკის გეგმის კრახი — მეცნიერებათა კანდიდატი ა. სიმონიანი; ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ 1918-1920 წლებში — დოც. ა. სურგულაძე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედების ტბა (დილას), აბესალომ და ეთერი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — რღვევა (დილას), ტარიელ გოლუა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — სამი ბულბულის ქუჩა № 17 (დილას), რას იტყვის ხალხი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ერთი სიყვარულის ისტორია (დილას), ხეები კვდებიან ზეზეულად (საღამოს), **სომხური დრამის** — მიცვალებულის აღდგომა (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — დალი (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**— ოქროს კვაქოჩრიანები (აბონემენტი № 7, 12 ს.), უდანაშაულო დამნაშავენი (აბონემენტი № 32, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი ნეკერჩხალი (10 ს. 30 წ.), განძთა კუნძული (3 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (12 ს. და 3 ს.), **ფილარმონია** — ახალგაზრდობის დასვენების საღამო (საზამთრო თეატრი, 8 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ჩვენი ეზო, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ყველაზე ლამაზი, **კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის** — გმირობა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, საქართველო** (მწვანე დარბაზი) — თეთრხალათიანები, **დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი**—პავლე კორჩაგინი, **კოლმეურნე** — უგზოუკვლოდ დაკარგული.

საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა
25 თებერვლისათვის
პირველი და მეორე პროგრამით
რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — ქართული სიმღერები, 07.45 — ბალანჩივაძის ვალსები, 08.20 — ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 10.55 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 12.15 — სიმღერები დები იშხნელების შესრულებით, 12.45 — დავით გამრეკელის კონცერტი, 13.20 — საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტი, 14.05 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 14.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ა. ვარდანიანის მოთხრობა „გაზეთების გამყიდველი“, 17.20 — გადაცემა „ქართული საბჭოთა მუსიკა“, 18.15 — ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავისადმი, 19.20 — ქართული სიმღერები მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების შესრულებით, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, — თბილისის საქალაქო ქსელით მუსიკალური ნაწყვეტები ქართული კინოფილმებიდან, 20.00 — კონცერტი.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00—გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

ტელეგადაცემათა პროგრამა
24 თებერვლისათვის

18.00 — კონცერტი ყველაზე პატარებისათვის, 18.25 — ნახატი ფილმი, 18.35 — საშუალო ასაკის მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი“ № 1, 19.20 — უფროსკლასელთათვის — სამეცნიერო-პოპულარული კინოსურათი „ვიცნობდეთ ერთმანეთს“, 20.00 — გადაცემა—„ჩვენი რესპუბლიკა მეექვსე ხუთწლედში“, 20.20—გადაცემა „კომპოზიტორი ფ. არაყიშვილი“, 21.00 — საესტრადო კონცერტი (კონცერტი მიჰყავთ კვანტალიანს და გომელაურს).

შვილები თამარ, გუგული, ვანო, დავით, რძლები თამარ, ეთერ, სიძეები ვ. სვანიძე, შ. სახელაშვილი ოჯახებით იუწყებიან
ირინე ილარიონის ასულ ნოსელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-II, 4 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, წერეთლის ქუჩის მეორე შესახვევი № 5.

მამა სოლომონ, მეუღლე ნატალია, შვილები ვენერა, ჭიჭიკო, მერი, ზეინაბ, ძმა ვლადიმერ, დები თამარ, ოლია, რძლები ციცინო, ელენე, ლიზა, სიძეები გ. ნონიაშვილი, ვ. ნარიმანიძე ოჯახებით იუწყებიან
ვასილ სოლომონის-ძე გელაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-II, 5 ს. სოფელ გლდანში.

მეუღლე ლიდა, შვილები ლენა, ლიზა, გიორგი